

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნინო ბოჭოიძე

ელექტრონული არჩევნები საქართველოში: გამოწვევები და
პერსპექტივები

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ალექსანდრე კუხიანიძე

პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი

თბილისი

2022 წელი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიებისა და მასობრივი კომუნიკაციის სამყაროში მსოფლიოს ტრანსფორმაციამ გააღო მრავალი სახელმწიფოსთვის განვითარების ახალი შესაძლებლობების ფანჯარა. ციფრული ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა უფრო აქტუალური და შესამჩნევი ხდება პოლიტიკურ პროცესებშიც. რიგმა სახელმწიფოებმა უკვე გაიარა ის გზა, რასაც ახლა საქართველო გადის, და წარმატებით დანერგა ციფრული ტექნოლოგიები საარჩევნო პროცესში, თუმცა ეს გზა საქართველოს შემთხვევაში სავსე აღმოჩნდა გამოწვევებით. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული არჩევნები აღიქმება ერთის მხრივ, დემოკრატიის კონსოლიდაციის, საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობის განმტკიცების, მეორე მხრივ, კი, საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დამატებით რისკებად.

წინამდებარე კვლევის მიზანია შევისწავლოთ საქართველოში ელექტრონული არჩევნების დანერგვის პროცესი და თანდმევი გამოწვევები. კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შეფასდა სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე ელექტრონული საარჩევნო სისტემის უპირატესობები და სისუსტეები; საქართველოს საარჩევნო სისტემაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივების უკეთ გამოსაკვეთად კვლევაში გაანალიზებულია საარჩევნო ადმინისტრაციის ექსპერტთა მოსაზრებები, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების კრიტიკული შეფასებები და თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა.

ნაშრომის მთავარ მიგნებას წარმოადგენს ელექტრონული საარჩევნო პროცესის თავისებურებების ახსნა და თანამედროვე ქართულ რეალობაში იმპლემენტაციის შეფასება.

სარჩევი

<i>შესავალი</i>	4
კვლევის აქტუალობა	4
ლიტერატურის მიმოხილვა	10
<i>I თავი. ელექტრონული არჩევნების თეორიული და სამართლებრივი ასპექტები, მხარეები და დანერგვა.</i>	12
1.1. ელექტრონული არჩევნების ცნება, ტიპოლოგია და მახასიათებლები	13
1.2. ელექტრონული ხმის მიცემის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტები.....	16
1.3. ელექტრონული საარჩევნო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები.....	19
1.4. ინტერნეტ არჩევნები (I-Voting) და ბლოკჩეინი	22
<i>II თავი. ელექტრონული არჩევნების ნდობის პირამიდა და ქართული კონტექსტი</i>	24
2.1. სანდოობის პრობლემა ელექტრონული არჩევნების დროს	25
2.2. სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გავლენა ელექტრონულ არჩევნებზე.....	25
2.3. ელექტრონული არჩევნების ოპერატიული და ტექნიკური პრობლემები.....	27
<i>III თავი. ელექტრონული არჩევნების ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო</i>	28
3.1. ელექტრონული საარჩევნო პროცესი უცხოეთის მაგალითზე.....	29
3.2. ელექტრონული არჩევნები და საქართველოს გამოცდილება.....	34
3.3. ელექტრონული არჩევნების პერსპექტივები საქართველოში.....	43
<i>დასკვნა</i>	45
<i>გამოყენებული ლიტერატურა</i>	49

შესავალი

კვლევის აქტუალობა

საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ დემოკრატიზაციის პროცესების დაჩქარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახდა, ვინაიდან მას გაუჩნდა დემოკრატიული სახელმწიფოს შენების პერსპექტივა, მსგავსად “ახალშობილი დემოკრატიებისა” (Haerpfer, 2009). ამდენად, დემოკრატიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია სამართლიანი არჩევნების ჩატარება. სწორედ თავისუფალი, თანასწორი და გამჭვირვალე არჩევნები განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მომავალს. საქართველოში, ბოლო, (2020 წელს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების შეფასებისას ეუთოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში საუბარი იყო ისეთ დარღვევებზე, როგორცაა შედეგების დაგვიანებული გამოქვეყნება, შემაჯამებელ ოქმებში არსებული დისბალანსი და სხვა ისეთი ხარვეზები, რაც ეჭვქვეშ აყენებს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას (OSCE O. f., 2021). იმისათვის, რომ არჩევნები მეტად სამართლიან, გამჭვირვალე და მიზანმიმართული მანიპულაციებისგან დაცლილ გარემოში ჩატარდეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ საარჩევნო პროცესის ტრადიციული ფორმა ჩაანაცვლა ელექტრონული მოდელით. ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული ტექნოლოგიებით განხორციელების საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ციფრული ქსელებით საზოგადოებისა და ხელისუფლების დაკავშირება (Gronlund/Horan, 2004). ელექტრონული მონაწილეობისა და ელექტრონული დემოკრატიის ცნებები სწორედ ამ კავშირს ასახავს და თანამედროვე მსოფლიოში სწრაფად იკიდებს ფეხს (H. Trechsel, and R. Alvarez., 2016).

გარდაუვალია საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ფონზე დემოკრატიის პოლიტიკური ინტიტუტების ტრანსფორმირება. სერჯან შრეიბერის აზრით, „ასეთი ტექნოლოგიები გზას უხსნის პლურალიზმს, ადგილობრივი ინტერესების ფართოდ გამოხატვის შესაძლებლობას, ისე რომ ზიანი არ მოაქვს არცერთი დემოკრატიული ინსტიტუტისთვის“ (მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება, 2003). მეტიც, ელექტრონული ტექნოლოგიები ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესების

გამჭვირვალედ წარმართვას და უზრუნველყოფს მოქალაქეთა გამარტივებულ ჩართულობას.

აქედან გამომდინარე, საკვლევი თემა წარმოადგენს საარჩევნო პოლიტიკაში სწრაფი, ინოვაციური და მოქნილი ტექნოლოგიების დანერგვით, ტრადიციული მოდელის ჩანაცვლების შესაძლებლობას. თუ როგორ შეიძლება საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის გაუმჯობესება ელექტრონული ტექნოლოგიების დახმარებით.

საკითხის მიმართ ჩემი გამმაფრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებულმა გამოცდილებამ, როდესაც სადამკვირვებლო მისის ფარგლებში ვაკვირდებოდი საარჩევნო პროცესს. მოგეხსენებათ, რომ არსებობს არჩევნების გაყალბების უამრავი საშუალება, რომელთა გამოყენებით ინდივიდები პირდაპირი ზეგავლენით იღებენ სასურველ შედეგს. საქართველოში ბოლოს ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით შეფასებებში ჩანს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილს უჭირს პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია, საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვა და შესაბამისად, არ ენდობა ხელისუფლებას¹ (Watch, 2020). დემოკრატიული განვითარების გზაზე საქართველოსთვის მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება და მისი შედეგებისადმი ამომრჩევლის მაღალი ნდობა. ტექნოლოგიების დახმარებას საარჩევნო პროცესში შეუძლია გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მონაწილეობაზე, ამავედროულად, გარკვეული როლი შეასრულოს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ნდობის გაძლიერებაზე. ელ-არჩევნები ამომრჩეველს სთავაზობს მარტივ და სწრაფ მექანიზმებს გადაწყვეტილების მისაღებად და პროცესს ხდის მეტად მოქნილს, თუმცა მოითხოვს კომპლექსურ მომზადებას. მნიშვნელოვანია ქვეყნის საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული პროცესების გამართულობა. ერთის მხრივ, ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო უნდა ქმნიდეს მყარ საფუძველს არჩევნების ჩასატარებლად, მეორეს მხრივ, კი საარჩევნო პროცესი სრულად უნდა იყოს მხარდაჭერილი შესაბამისი ოპერაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი

¹ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), Georgia Election Watch ანგარიში, 2 ნოემბერი, 2020-
https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20VEAT%20Statement%20Nov%202020%20-%20GEO%20-%20FINAL_0.pdf

ტექნოლოგიების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკები. სწორედ ამ მიზეზების გამო, აღნიშნული კვლევა არის აქტუალური.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე *კვლევის მიზანია* დაადგინოს, თუ რამდენად რეალისტურია საქართველოში არჩევნების ელექტრონული მოდელის შექმნა და დანერგვა. ნაშრომის მიზანია გავანალიზოთ:

- საქართველოში საარჩევნო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტურობა, შევაფასოთ ელექტრონული საარჩევნო სისტემის ქართული მოდელი და მისი პერსპექტივები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება შემდეგი *ამოცანები*:

- ელექტრონული არჩევნებისადმი საკანონმდებლო ინიციატივებისა და არსებული სამართლებრივი გამოწვევის ანალიზი (საარჩევნო კოდექსის)
- არსებული ტრადიციული საარჩევნო სისტემისა და თანამედროვე ელექტრონული საარჩევნო სისტემის ანალიზი
- ექსპერტთა შეფასებებისა და არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება ელექტრონული არჩევნების დანერგვის ეფექტურობასთან დაკავშირებით
- საქართველოში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებისა და შეფასებების შესწავლა
- ელექტრონული არჩევნების უპირატესობების გაანალიზება უცხოეთის პოზიტიური/ნეგატიური პრაქტიკის საფუძველზე.

კვლევის ობიექტია საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ საპილოტე პროექტებზე კონკრეტულ ოლქებში (კრწანისის ოლქი; ქ. ბათუმი); საერთაშორისო და ეროვნული ელექტრონული საარჩევნო სისტემა და საკითხის შესახებ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო/ დოკუმენტები. ამასთან, მედია, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშები და წარმომადგენელთა შეფასებები.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, *საკვლევი კითხვები* შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. შესაძლებელია თუ არა, რომ სამართლებრივმა და ტექნიკურმა სტანდარტებმა საქართველოში ელექტრონული არჩევნების დანერგვისთვის შექმნას გამოწვევა?
2. რა გავლენას ახდენს ელექტრონული არჩევნების დანერგვა მოქალაქეთა მონაწილეობაზე არჩევნებზე?

ნაშრომში წარმოდგენილი კითხვებიდან გამომდინარე, კვლევა შეეცდება მოცემული **ჰიპოთეზების** დადასტურებას:

- საქართველოში ელექტრონული არჩევნების დანერგვისთვის საჭირო სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტები არ წარმოადგენს გამოწვევას.
- ელექტრონული არჩევნების მოდელი ხელს უწყობს მოქალაქეთა მზაობას არჩევნებში მონაწილეობისთვის.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ინდიკატორები:

ელექტრონული არჩევნების დანერგვა- გულისხმობს არჩევნებისა და რეფერენდუმების ადმინისტრირების პროცესის (ამომრჩეველთა იდენტიფიკაციის, ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შეჯამების) წარმართვას ელექტრონული მექანიზმების მეშვეობით. ინდიკატორია არჩევნებში პილოტირებული ტექნოლოგიების (საქართველოს შემთხვევაში, 2018, 2019, 2021, 2022 წელს გამოყენებული მოწყობილობები) ფუნქციონირება; ინკლუზიურობა; უსაფრთხოება; გამჭვირვალობა; ხარჯეფექტიანობა; სერთიფიცირება- სისტემის ეფექტიანად და გამართულად მუშაობის დაგდენის მიზნით.

სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტები- გულისხმობს საერთაშორისო მოთხოვნების კანონმდებლობით გათვალისწინებას, რათა არ დაირღვეს არჩევნების ფარულობა და ფუნდამენტური პრინციპები. რაც შეეხება ტექნიკურ სტანდარტებს, საარჩევნო პროცესი უნდა წარიმართოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე, უსაფრთხოების დაცვის ყველა მექანიზმის გათვალისწინებით.

ინდიკატორია: ჩატარებული ელექტრონული არჩევნების შედეგად საარჩევნო უბანზე/ოლქში დაფიქსირებული საჩივრები/ოქმები.

ამომრჩეველის მზაობა მონაწილეობისთვის - გულისხმობს არჩევნებში ამომრჩეველთა პირდაპირი მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ,

დამოკიდებულია მოსახლეობაში ნდობის ფაქტორის ამაღლებაზე. ინდიკატორია ამომრჩეველთა ჩართულობა/აქტივობა არჩევნებში, და რამდენად იყენებს ამომრჩეველი ელექტრონულ სერვისებს სახელმწიფოსთან ურთიერთობისას.

ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია ელექტრონული დემოკრატიის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც გაანალიზებულია საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტურობა (Susha, I., Grönlund, Å., 2012).

ასევე შერჩეულია ტექნოლოგიების მიმღებლობის მოდელი (TAM)², რომელიც ეფუძნება თეორიას „ტექნოლოგიების მიმღებლობისა და სარგებლიანობის“ შესახებ - (UTAUT)³. პირველი მოდელის მიხედვით, მოქალაქეთა მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას. კერძოდ, ინოვაციის სარგებლიანობა და სიმარტივის ინდექსი (Davis, 1989). მეორე მოდელი კი, განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიების დანერგვასა და ათვისებაზე (AlAwadhi, S., & Morris, A., 2008).

აგრეთვე, კვლევა ეყრდნობა პარტისიპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსთა (ჯ.ვოლფი, ფ. გრინი, ბ.ბარბერი) კონცეფციას, რომლის თანახმადაც ახალ ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია გადაჭრას თანამედროვე პოლიტიკური სისტემის პრობლემები, წარმომადგენლობითი დემოკრატიის „მონაწილეობითი დემოკრატიით“ შეცვლით. (Barber B. S., 2014), ეს თეორია საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ ელ-არჩევნების დანერგვა რა გავლენას მოახდენს არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელზე.

ელექტრონული არჩევნების დანერგვა განხილულია „ციფრული უთანასწორობის“ ცნების კრილში, რომლის აღმოფხვრისკენაცაა მიმართული საარჩევნო სისტემის ელექტრონიზება (ლაბაძე, 2018).

კვლევა ჩატარდა **თვისებრივი კვლევის მეთოდის** გამოყენებით, კერძოდ დოკუმენტებისა და მეორეული წყაროს ანალიზით. მოხდა როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ლიტერატურის შეფასება-გაანალიზება. საქართველოში ელექტრონული

² TAM- TECHNOLOGY ACCEPTANCE MODEL

³ UTAUT- The Unified Theory of Acceptance and Use of Technology

ტექნოლოგიების არჩევნებში გამოყენებისთვის, არსებული მდგომარეობისა და მზაობის შესაფასებლად შესწავლილ იქნა ამჟამინდელი სამართლებრივი ჩარჩო. კერძოდ, დეტალურად გაანალიზდა საკანონმდებლო სივრცეში 2018 წლიდან-დღემდე (2022 წლის შუალედური არჩევნების ჩათვლით) ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებში განხორციელებული ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც აწესირებს საარჩევნო პროცესს. გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივები, მათ შორის პარტია „გირჩი“-ის ინიციატივა ელ-არჩევნების ჩატარების შესახებ. ასევე შეფასდა ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი ბასილადის კვლევა ელექტრონული სისტემის არჩევნებში გამოყენების შესახებ. აგრეთვე, მოხდა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშების გაანალიზება. შედარებითი ანალიზისთვის, კვლევა ფოკუსირებულია ელექტრონული არჩევნების ეფექტიანობის განსაზღვრაზე განსხვავებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რისთვისაც გაანალიზდა უცხოური სამთავრობო და მედია წყაროები. აგრეთვე დეტალური ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელთან, ასევე ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან (ISFED), და შერჩეულ ამომრჩეველთან, რომელსაც ჰქონდა ქართულ სივრცეში ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილება. სიღრმისეული ინტერვიუს დამუშავების საფუძველზე მოხდა ტრანსკრიპტების კოდირება, თემატური კატეგორიზება და კვლევის ანალიზისას გამოყენებული იქნება ის ინკლუზიური ინტეგრაციით ტექსტში.

კვლევისას რესპონდენტთა შერჩევა მოხდა არაალბათური გზით, კერძოდ მიზნობრივად. მოხდა საარჩევნო ადმინისტრაციიდან საპილოტე პროექტში ჩართული პირების შერჩევა შემხებლობით. აგრეთვე, მიზნობრივად იქნა შერჩეული სიღრმისეული ინტერვიუსთვის ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების (ISFED; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო) წარმომადგენლები. ამასთან, კვლევის მრავლისმომცველობისთვის ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელ ექსპერტთან, რომელიც ასევე მიზნობრივად

შეირჩა. სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში გამოყენებულ იქნა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი.

წარმოდგენილი კვლევის ჩარჩო/ლიმიტი ელექტრონული არჩევნების მხოლოდ იმ ასპექტის შესწავლა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. ნაშრომში განხილულია საქართველოს საარჩევნო სისტემის წინაშე მდგარი ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ტექნიკური გამოწვევები. გარდა ამისა, ნაშრომი მოიცავს ელექტრონული არჩევნების საპილოტე პროექტების (რამდენიმე ოლქის) ანალიზს.

ნაშრომში სტრუქტურულად დაყოფილია სამ ნაწილად და შედგება შესავალის, სამი ძირითადი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის ბიბლიოგრაფია. შესავალ ნაწილში საუბარია თემის ქტუალურობასა და ნაშრომის მიზნებზე, მიმოხილულია კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო. პირველ თავში, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში, განხილულია ელექტრონული არჩევნების ცნება, ფორმები და მახასიათებლები. მეორე თავი ეხება ქართული კონტექსტის შესწავლას, სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შეფასებითა და საზოგადოების ნდობის ხარისხის განსაზღვრით. მესამე თავი კი გვთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის შესაძლებლობას, აყალიბებს ძირითად გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას საქართველო ელექტრონული არჩევნების დანერგვს გზაზე და განიხილავს ქვეყნის პერსპექტივებს ამ მიმართულებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე სამყაროში გაჩნდა დემოკრატიის ახალი ფორმა, რომელიც ელექტრონული დემოკრატიის სახელით არის ცნობილი და წარმოადგენს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ვირტუალურ ურთიერთობის ფორმას. ის შეიძლება ერთგვარი გამოვლინებაც კია ძველი ბერძნული პირდაპირი დემოკრატიისა (K. A., Ober, J., & Wallace, R., 2007).

კვლევაში გამოყენებულ იქნა დევიდ ფოლისა და როჯერ გიბინსის ნაშრომი „დემოკრატიის ენციკლოპედია“, სადაც ხაზგასმულია არჩევნების აუცილებლობა დემოკრატიული განვითარებისთვის. ნაშრომში განვითარებული მსჯელობის მიედვით, სწორედ არჩევნები აძლევს საზოგადოებას საშუალებას - აირჩიონ ლიდერები

კონკრეტული დაკისრებული პასუხისმგებლობებით და განსაზღვრული ვადით. შემდეგ კი რეგულარული და პერიოდული არჩევნების მოთხოვით, გადაირჩიონ ისინი. არჩევნების შედეგად ხდება ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემის პრობლემის გადაჭრა და დემოკრატიის ფუნქციონირების ხელშეწყობა (Eulau, H. , Gibbins, . Roger and Webb, . Paul David, 2020).

ნაშრომში მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულება აქვს პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის ნაშრომს. იგი წიგნში -„არჩევნები და საზოგადება“ ძალიან დეტალურად მიმოიხილავს ელექტრონული დემოკრატიის განვითარების საწყისებს და მის გავლენას თანამედროვე სამყაროზე. ელ-დემოკრატია „ელექტრონული დემოკრატია პოლიტიკისა და მართვის ცენტრად წარმოდგება, რომელიც აუმჯობესებს მოქალაქეობას და ამ სიტყვის ფართო აზრს“ (მაცაბერიძე, მ. (2003). *არჩევნები და საზოგადოება*. თბილისი: „მეცნიერება“).

აგრეთვე, კვლევაში გამოყენებულია ბენ გოლდსმიტის მოხსენება, სადაც მიმოიხილულია ელექტრონული არჩევნების, კერძოდ მთვლელი ტექნოლოგიების მახასიათებლები და თავისებურებები, რაც სხვადასხვა ქვეყნის მიერ არის გამოყენებული (Goldsmith Ben R. , 2013).

გამოყენებული ლიტერატურიდან აღსანიშნავია დონალდ მოინიჰანის მიდგომები უსაფრთხო ელექტრონული არჩევნების შენებასთან დაკავშირებით, სადაც ის განიხილავს ინტერნეტ ხმის მიცემას სისტემური თეორიის კრილში (Moynihan, 2004), ეს თეორია კარგად ხსნის ესტონეთის გამოცდილებას ინტერნეტ-არჩევნების მოდელთან დაკავშირებით.

აგრეთვე, ნაშრომის ტექნიკური ცოდნით გამდიდრებისთვის, გამოყენებულ იქნა ქართველი მკვლევრის, კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორის, გიორგი ბასილამის სადისერტაციო კვლევას, სადაც წარმოადგენილია ელექტრონული საარჩევნო სისტემა, რომელიც მორგებულია ქართულ რეალობას შესაბამისი ტექნიკურ-პროგრამული უზრუნველყოფით და ამავდროულად წარმოადგენს პრაქტიკულ ღირებულებას სახელმწიფოში დასანერგად. (ბასილამე გ. , 2013)

1 თავი. ელექტრონული არჩევნების თეორიული და სამართლებრივი ასპექტები, მხარეები და დანერგვა.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესში აღიქმება, ერთის მხრივ, დემოკრატიის განვითარებისა და კონსოლიდაციის ერთ-ერთ საშუალებად, მეორე მხრივ, კი, ის ზრდის საარჩევნო პროცესის ეფექტიანობას კონფიდენციალურობის დაცვის მაღალი ხარისხითა და სამართლიანი შედეგების სწრაფი ასახვით, რაც თავის მხრივ იწვევს ამომრჩეველთა ნდობის გაძლიერებას საარჩევნო პროცესის მიმართ (Mebane, 2008).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ელექტრონული არჩევნები ნამდვილად ითვლება წარმატებად, ვინაიდან ელექტრონული ხმის მიცემის მეთოდმა შეამცირა მანიპულაციებისა და გაყალბების საფრთხე, გამოიწვია ხმის მიცემის პროცესის გამარტივება და შესაბამისად, დააჩქარა შედეგების გამოქვეყნება (James, T.S. & Jervier, T. , 2017). საბოლოო ჯამში კი მოქალაქეებისთვის საარჩევნო პროცესი უფრო მოსახერხებელი გახდა. თუმცა, ზოგიერთმა სახელმწიფომ ელექტრონული არჩევნების დანერგვიდან ძალიან მოკლე პერიოდში თქვა უარი მასზე, რიგი საკანონმდებლო, ტექნიკური თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების გამო.

არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა არის ციფრული დემოკრატიის განვითარებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ამომრჩეველთა ფართო მონაწილეობას და იძლევა ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების თავიდან არიდების საშუალებას. არჩევნებში მონაწილეობის ტრადიციული ფორმისგან განსხვავებით, ელექტრონული არჩევნების დანერგვისას აუცილებელია სახელისუფლებო ორგანოებმა უზრუნველყონ უსაფრთხო და სანდო გარემო, ტექნოლოგიების შესაბამისი სტანდარტების დაცვით ფუნქციონირებისთვის. კერძოდ, სისტემა უნდა იყოს მედეგი ტექნიკური ხარვეზების, მწყობრიდან გამოსვლის და მიზამნიმართული შეტევების მიმართ.⁴ (COE, 2004) მნიშვნელოვანია ყველა ზომის მიღება

⁴ მინისტრთა კომიტეტი (2004), რეკომენდაცია Rec(2004)11 ელექტრონულად ხმის მიცემის სამართლებრივი, საოპერაციო და ტექნიკური სტანდარტების შესახებ. https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805dbef8

იმისათვის, რომ რისკები, რომლებიც თან ახლავს არჩევნების ელექტრონულ მოდელს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ დაწეროს ელექტრონული არჩევნები, ტექნოლოგიურ უზრუნველყოფასთან ერთად, აუცილებელია საკანონმდებლო სივრცის შესაბამისი მოწესრიგება, რათა არჩევნების ტრადიციული ფორმის ელექტრონული მეთოდით ჩანაცვლება მარტივად მოხდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არცერთი სააერჩევნო სისტემა არ წარმოადგენს ბარიერს ელექტრონული არჩევნების დასაწერად, თუმცა გასათვალისწინებელია მენეჯმენტის ფაქტორი, რაზეც დამოკიდებულია აღნიშნულის ეფექტიანი მუშაობა.

1.1. ელექტრონული არჩევნების ცნება, ტიპოლოგია და მახასიათებლები

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებმა მმართველობის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება დაიწყეს, პოლიტიკის მეცნიერებაში გაჩნდა ელექტრონული დემოკრატიის ცნება, რომლის ამოსავალი პრინციპი მოქალაქის თანამონაწილეობის გაზრდაა (Movement.International, 2016). ვინაიდან არჩევნები დემოკრატიზაციის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, საარჩევნო პროცესის გაციფრულება წარმოადგენს დემოკრატიის გაძლიერების ერთ-ერთ საშუალებას. ელექტრონული არჩევნების შესახებ ფართო განმარტება არსებობს, რომელიც გულისხმობს რეფერენდუმებისა და საარჩევნო პროცესის სრულად, ან ნაწილობრივ ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით წარმართვას⁵ (OSCE/ODIHR, 2013). აღსანიშნავია, რომ საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია; ხმის მიცემა; ხმების დათვლა; ხმების შეჯამება. დღესდღეობით, საქართველოში, საარჩევნო პროცესის მხოლოდ რამდენიმე ეტაპზე ხორციელდება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც მოდერნიზებისთვის კარგ შესაძლებლობას აჩენს (პარლამენტი, 2022).

⁵ OSCE/ODIHR Handbook for the Observation of New Voting Technologies. 10.2013 - <https://www.osce.org/files/f/documents/0/6/104939.pdf>

არჩევნების ავტომატიზება ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა კონფიგურაციით. ეს დამოკიდებულია იმაზე, სურს თუ არა სახელმწიფოს სრულად გახადოს საარჩევნო პროცესი ელექტრონული, თუ გამოიყენოს ის მხოლოდ ხმების დათვლის, ამომრჩევლის იდენტიფიცირების, ან ხმის მიცემის პროცედურისას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არსებობს ხმის მიცემის დისტანციური ფორმა, რომელიც ძალიან ცოტა ქვეყნის პრაქტიკაშია დანერგილი, ვინაიდან მოითხოვს კონფიდენციალურობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით დაცვას (Triessnig, S. , Volkamer, V., 2007)

ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა არჩევნებში საჭიროებს დროს, ბევრ მუშაობას და ხანგრძლივ დაკვირვებას პროცესის გამართულობაში დასარწმუნებლად. სამაგიეროდ კი ის გრძელვადიან პერსპექტივაში ზოგავს საარჩევნო ადმინისტრაციის როგორც დროით, ისე ადამიანურ რესურსს. თანმიმდევრულად რომ აღწეროთ თუ როგორ შეიძლება საარჩევნო პროცესის პრაქტიკაში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება, უნდა დავიწყოთ ამომრჩეველთა იდენტიფიცირების სისტემის (ბიომეტრიული აუთენტიფიკაცია) განხილვით. ამ სისტემით ხდება ამომრჩევლის ბიომეტრიული მახასიათებლების⁶ ამოცნობა და დგინდება ამომრჩევლის იდენტობა, რის შემდეგაც ერთიანი მონაცემთა ბაზის სისტემაში, არჩევნების დროს- საარჩევნო სიაში, სისტემა იწყებს პირის ვინაობის დადგენას. ამ მეთოდით ხდება არჩევნებში განმეორებით ხმის მიცემის თავიდან არიდება. ამომრჩევლის იდენტიფიცირებისთვის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ტექნოლოგიებიდან აღსანიშნავია თითის ანაბეჭდის (AFISs) და სახის ამომცნობი სისტემა (FRDs). აღნიშული სისტემის გამოყენების განრიგი დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივ ჩარჩოსა და საჭიროებაზე. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ იქნა რეკომენდაცია, რომლის თანახმად, მომზადების დაწყება მიზანშეწონილია არჩევნების დღემდე 18-დან 24 თვემდე ვადით ადრე.⁷

ელექტრონულ არჩევნებში აგრეთვე შეგვიძლია გამოვიყენოთ პირდაპირი ჩაწერის ელექტრონული (DRE) ხმის მიცემის სისტემა, რომელსაც (EVMs) ხმის მიცემის მანქანებსაც უწოდებენ მეორენარიად. ეს მოწყობილება არის პატარა მანქანა, რომელსაც

⁶ ბიომეტრიული მახასიათებელი შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში თითის ანაბეჭდი ან სახის ამოცნობა.

⁷ National Conference of State Legislatures. Voting Equipment. 20.08.2018 - <https://www.ncsl.org/research/elections-and-campaigns/voting-equipment.aspx>

აქვს ეკრანი, სადაც ამომრჩეველი ხედავს ბიულეტენს. ხმის მიცემა ხდება ეკრანზე სენსორულად ან აპარატის ღილაკზე თითის დაჭერით, რის შემდეგაც ავტომატურად ბიულეტენი თავსდება მოწყობილობის მეხსიერებაში. აღსანიშნავია, რომ DRE სისტემას შეუძლია ქაღალდის ჩანაწერის წარმოება, რომელიც ამომრჩეველს გადამოწმების საშუალებას აძლევს, შესაბამისად კი ნდობის ფაქტორი ტექნოლოგიის მიმართ იზრდება. საინტერესოა, რომ სისტემას შეუძლია საარჩევნო უბანზე ხმების/ბიულეტენების დათვლა და ცენტრალურ ადგილას გაერთიანება, რაც ზოგავს ხმის დათვლის პროცედურის მნიშვნელოვან რესურსს (Wertheimer, 2004). სწორედ ამიტომ, მიიჩნევა, რომ DRE სისტემის უპირატესობა მდგომარეობს სიზუსტეში სიმარტივესა და სისწრაფეში. ამ ტექნოლოგიის გამოყენებისას სრულადაა გამორიცხული ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომა, თუმცა კითხვის ნიშნები ჩნდება უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის ხარისხთან დაკავშირებით.⁸

შემდეგი საშუალება, რომლის გამოყენებითაც შეგვიძლია ელექტრონულად ხმისმიცემა, არის ბიულეტენების მონიშვნის მოწყობილება (BMD), რომელსაც ზემოაღნიშნული DRE სისტემისგან განსხვავებით ბიულეტენის ბეჭდვა შეუძლია და იგი არ იმახსოვრებს ამომრჩევლის ხმას. ამობეჭდილი ბიულეტენების დათვლა კი ხდება ხელით, ან სპეციალური შიფრის ამომცნობი (OMR) აპარატით. ამ მეთოდის საშუალებით გამოიღწეულია ამომრჩევლის ხმის მიცემის პროცედურა ბიულეტენების დათვლის პროცედურისგან, თუმცა დამატებით ქმნის მაღალი ხარჯის გაწევის რისკს, ვინაიდან საჭიროებს ორი მოწყობილობის გამოყენებას, რაც თავის მხრივ უკავშირდება ტექნოლოგიურ სირთულეებსაც (Stein, M. & Trent, J., 2012)

ძალიან საინტერესოა ჰიბრიდული სისტემის გამოყენებაც, რომელიც აერთიანებს ტრადიციული ხმის მიცემისა და ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებას საარჩევნო პროცესში. კერძოდ, საქმე გვაქვს ოპტიკური ნიშნის ამომცნობ მოწყობილობასთან (OMR), რომელიც ამომრჩევლის მიერ ტრადიციული მეთოდით, ქაღალდის ბიულეტენზე სპეციალური კალმით დაფიქსირებულ არჩევანს სკანერის საშუალებით ამოიცნობს და ითვლის. ამასთან, OMR სისტემა საშუალებას გვამძლევს საარჩევნო უბანზე დავითვალოთ

⁸ The Electoral Knowledge Network. Types of E-voting. - https://aceproject.org/ace-en/focus/e-voting/types-of-e-voting/mobile_browsing/onePag

ხმები, ან დავაგროვოთ ბიულეტენები და მათი დათვლა მოხდეს საარჩევნო ოლქში. სისტემის მთავარი ხიბლი მდგომარეობს შედეგების გადამოწმებადობაში. იმ შემთხვევაში თუ სისტემას ტექნიკური ხარვეზი აღმოაჩნდება, ის საშუალებას გვაძლევს ბიულეტენები ხელითაც გადავთვალოთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიების გამოყენება არჩევნების ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია. ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის პროცედურების გამარტივებისთვის ქვეყნები სხვადასხვა გზებს იყენებენ, თუმცა ზოგიერთი მალევე ამბობს უარს ამ თითქოს და უწყინარ ტექნოლოგიებზე და უბრუნდება ტრადიციულ ფორმას, ზოგიც ირჩევს ჰიბრიდულ სისტემას და ცდილობს მეტად მოსახერხებელი გახადოს პროცესი ამომრჩევლისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში ელექტრონული ტექნოლოგიების არჩევნებში დანერგვის მთავარი მიზანი არის პროცესის ღიაობა, გამარტივება და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. (IDEA, 2011)

1.2. ელექტრონული ხმის მიცემის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტები

არჩევნებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებისას სახელმწიფოები სარგებლობენ ფართო დისკრეციით და ამავდროულად ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის სათანადო საკანონმდებლო გარანტიები. სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც აწესრიგებს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, აერთიანებს ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტრუმენტებით განსაზღვრულ ფუნდამენტურ პრინციპებს. მათგან აღსანიშნავია კოპენჰაგენის დოკუმენტი⁹, რომელიც მიიღო 1990 წელს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OSCE). აგრეთვე, ვენეციის კომისიის კოდექსი საარჩევნო საკითხების შესახებ და სხვა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი დოკუმენტები ითვალისწინებს პრინციპებს, რომლებიც თანბრად სავალდებულოა ორივე შემთხვევაში- ტრადიციული და ელექტრონული არჩევნების ჩატარებისას (COM, 2021).

⁹ Document of Copenhagen meeting of the conference on the human dimension of the CSCE, 1990 - (OSCE)-
<https://www.osce.org/odihr/elections/14304>

არჩევნებში ნებისმიერი ტიპის ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენების განხილვისას, ძალიან ფრთხილად უნდა იქნას გათვალისწინებული ამ ტექნოლოგიების თავსებადობა ქვეყნის არსებულ კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ბაზასთან. მიზანშეწონილია უკვე არსებული შესაბამისი კანონმდებლობის ყოვლისმომცველი მიმოხილვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ყველა ასპექტის კანონიერი და სათანადო რეგულირება. მიმოხილვა ასევე შეიძლება მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა გამჭვირვალობის მექანიზმები, უსაფრთხოების მექანიზმები, სერტიფიცირების მოთხოვნები, აუდიტის მოთხოვნები და პროცედურები ელექტრონული ხმის მიცემის ან დათვლის შესახებ. აგრეთვე უნდა მოხდეს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კანონების, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსის, მონაცემთა უსაფრთხოებისა და დაცვის, შესყიდვებისა და სახელმწიფო კონტრაქტების შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გადახედვა.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, ყველაზე გავრცელებული რეკომენდაცია გახლავთ ევროპის საბჭოს Rec(2004)11¹⁰ ელექტრონული ხმის მიცემის საკანონმდებლო, ოპერატიული და ტექნიკური სტანდარტების შესახებ, რომელიც გამოიყენება ქვეყნების ეროვნულ იურისპრუდენციაში, არაწევრ სახელმწიფოებსა და აგრეთვე საერთაშორისო აქტორების მიერ. ეს რეკომენდაცია მოიცავს 49 საკითხს და განსაზღვრავს არჩევნების ყველა სტადიაზე ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვისთვის აუცილებელ სამართლებრივ ვალდებულებებს. რეკომენდაცია მიზნად ისახავს დემოკრატიული არჩევნებისა და რეფერენდუმების პრინციპების იმპლემენტაციის ჰარმონიზებას ელექტრონული ხმის მიცემის გამოყენებისას, რითაც ადადგენს ამომრჩეველთა ნდობას ელექტრონული ხმის მიცემის სქემების მიმართ. CM/(2017)50 რეკომენდაციის თანახმად, ელექტრონული არჩევნების დანერგვის შემთხვევაში, კენჭისყრის პროცედურის ორგანიზება უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ხმის მიცემის კონფიდენციალურობა. რეკომენდაცია ითვალისწინებს „ერთი ამომრჩეველი- ერთი ხმა“ პრინციპს და გამორიცხავს განმეორებით ხმის მიცემის შესაძლებლობის შემთხვევებს.

¹⁰ Recommendation Rec(2004)11 of the Committee of Ministers to member states on legal, operational and technical standards for e-voting (VENICE COMMISSION) - [https://www.coe.int/t/dgap/goodgovernance/Activities/Key-Texts/Recommendations/Rec\(2004\)11_Eng_Evoting_and_Expl_Memo_en.pdf](https://www.coe.int/t/dgap/goodgovernance/Activities/Key-Texts/Recommendations/Rec(2004)11_Eng_Evoting_and_Expl_Memo_en.pdf)

აგრეთვე, ყურადღებას ამახვილებს ხმების დათვლის გამჭვირვალე პროცედურაზეც და მოუწოდებს სახელმწიფოებს პროცესის ავტომატიზების შემთხვევაში ძლიერი ტექნიკური უზრუნველყოფისკენ.¹¹

იმისათვის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში არჩევნების ყველა პრინციპის დაცვით ჩატარება, აუცილებელია საარჩევნო კოდექსის რეფორმირება, ვინაიდან ტრადიციულ ფორმატზე მორგებული საარჩევნო კოდექსი, რომელიც არ ითვალისწინებს არჩევნების პროცესში ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებას, ვერ უპასუხებს აღნიშნულით გამოწვეულ ცვლილებებსა და საჭიროებებს. ნებისმიერი ელექტრონული ტექნოლოგია, რომელიც გამოყენებულ იქნება საარჩევნო პროცესში, უნდა პასუხობდეს საყოველთაობის, თანასწორობის, ფარულობის პრინციპებს და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი და შესაბამისად ვიმსჯელოთ ელექტრონული საარჩევნო პროცესის ადმინისტრირებაზე. პირველყოვლისა, ხმის მიცემის სისტემა უნდა იყოს მარტივი, გასაგები და ხელმისაწვდომი ყველა ამომრჩევლისთვის; იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო იყენებს ჰიბრიდულ მეთოდს, უნდა არსებობდეს სანდო საშუალებები შედეგების სრულყოფილი შეჯამებისთვის; აუცილებელია, რომ ელექტრონულ სისტემაში შენახულ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა ჰქონდეს მხოლოდ უფლებამოსილ პირებს; კენჭისყრისას ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს ფარულობა; მნიშვნელოვანია ელექტრონული სისტემის დაცვის უზრუნველყოფა კიბერშეტევებისა და თავდასმებისგან.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო განახორციელებს საარჩევნო კოდექსის რეფორმირებას და შექმნის სამართლებრივ ჩარჩოს ელექტრონული არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია დაიწყოს უშუალოდ ადმინისტრაციული ღონისძიებების დაგეგმვა/გატარება. ეს ითვალისწინებს საარჩევნო გარემოს მომზადებას და აღჭურვას ყველა საჭირო ტექნოლოგიით. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოები ელექტრონულ ტექნოლოგიებს არჩევნების ყველა სტადიაზე ერთდროულად ვერ ნერგავენ, ვინაიდან აღნიშნული მოითხოვს დიდ რესურსს და გარკვეულ პრაქტიკას. აქედან გამომდინარე,

¹¹ COUNCIL OF EUROPE “Ministers’ Deputies” – CM (2017)50-add2final, 2017- <https://rm.coe.int/1680726c0b>

მათ უნდა შეიმუშაონ გრძელვადიანი გეგმა, რომლის ვადების გათვალისწინებითაც მოახდენენ ეტაპობრივ იმპლემენტაციას. ამისათვის არსებობს საპილოტე პროექტები, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა იწყებს ნაბიჯის გადადგმას, შემდგომ კი ირჩევს იმ ტიპის ტექნოლოგიებს, რომელიც ეროვნულ დონეზე, პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემას ყველაზე უკეთ ერგება.

ელექტრონული არჩევნების დასაწერად აუცილებელი ძირითადი სამართლებრივი ასპექტები შეიძლება ფორმულირდეს შემდეგნაირად:

- არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაში არჩევანი უნდა გაკეთდეს ისეთ საშუალებაზე, რომელიც ხელმისაწვდომთან ერთად იქნება გამოსაყენებლად მარტივიც;
- არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების ნებისმიერი მოდელის დანერგვამდე, გააზრებულ უნდა იქნას ადგილობრივი კონტექსტი, სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საფრთხეები;
- უნდა მოხდეს პროცესისათვის საჭირო დროის განსაზღვრა, რათა სახელმწიფომ შეძლოს ამომრჩეველთა დროული და სათანადო ინფორმირება. აგრეთვე საარჩევნო ადმინისტრაციის მომზადება.
- უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული კანონების გაძლიერება და მათი დაცვის უზრუნველყოფა.

1.3. ელექტრონული საარჩევნო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები

ზოგადი მიზანი იმისა, თუ რატომ ნერგავენ სახელმწიფოები ციფრულ ტექნოლოგიებს საარჩევნო პროცესში, არის ტექნოლოგიების ფართო გამოყენების კვალდაკვალ ამომრჩეველთა აქტივობის ზრდა. ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები მართლაც მრავალფეროვანია და გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ მის დადებით მხარეებზე, თუმცა მათ გამოყენებას ახლავს რისკები, რომელთა წარმოჩენა ნაშრომში ემსახურება საკითხის სიღრმისეულ ანალიზს.

ელექტრონული მოწყობილობების ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს შედეგების სწრაფი და ზუსტი შეჯამება, რის ხარჯზეც მცირდება ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომები და გამიზნული მანიპულაციები. მაშინ როდესაც ხმის მიცემის

ტრადიციული ფორმატი შედეგების პირველად და მეორეულ ვარიანტებს გვთავაზობს, ელექტრონული ტექნოლოგიები ამის შესაძლებლობას რამდენიმე საათში იძლევა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პირველადი შედეგების თითქმის 8 საათით დაგვიანებით ატვირთვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს“ მიერ შეფასდა ნეგატიურად¹², საზოგადოების ნაწილში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი მანიპულაციებთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა, არყვეს საარჩევნო პროცესისადმი არსებულ ნდობას ამომრჩეველში. ელექტრონული ტექნოლოგიების მიერ შესრულებული ამოცანა თავისთავად მიუკერძოებელს ხდის პროცესს, რაც მის სანდობას და ეფექტიანობას უსვამს ხაზს. შესაბამისად, ასეთ დროს ხდება გაყალბების პრევენცირება და ისეთი უსიამოვნო ფაქტების თავიდან არიდება, როგორცაა „ბიულეტენების ჩაყრა“, „კარუსელები“- მრავალჯერადი ხმის მიცემა და ა.შ. მნიშვნელოვანი სიკეთეა ხარჯეფექტიანობა, რომელიც თავიდან შეიძლება არ იყოს შესამჩნევი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა არჩევნებში მკვეთრად შეამცირებს საარჩევნო ადმინისტრირებისას გაწეულ დანახარჯს. იგივე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაწეული ხარჯი დაახლოებით 34 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც ერთ ამომრჩეველზე 16 ლარს გულისხმობს.¹³ ბრაზილიაში კი ელექტრონული არჩევნების შედეგად ხარჯი მილიარდიდან (100 მლნ ამომრჩეველი) მკვეთრად შემცირდა- 3-5 დოლარი ერთ ამომრჩეველზე.

დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს არჩევნების ინკლუზიურობა, რაც პირდაპირ ეხმიანება არჩევნების ხელმისაწვდომობის პრინციპს. ელექტრონული ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ სპეციალური საჭიროების მქონე ამომრჩეველმა დისტანციურად მისცეს ხმა და მოხდეს საარჩევნო გადასატანი ყუთების ჩანაცვლება.

¹² „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო“- საქართველო, „2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების შედეგების შეჯამება“ 01.11.2020. - <https://transparency.ge/ge/post/2020-clis-31-oktombris-saparlamento-archevnebis-dakvirvebis-shedegebis-shejameba>

¹³ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება, 1/2020, N10/01/2020, 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე, 13/01/2020- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4770734?publication=0>

ამასთანავე სამხედრო, საპოლიციო და საზღვაო სამსახურში დასაქმებულ პირებს გამარტივებულად შეეძლება საკუთარი არჩევანის დაფიქსირება. აგრეთვე ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით ეთნიკურ უმცირესობებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარ ენაზე მისცენ ხმა, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას.

ელექტრონული არჩევნების დანერგვა საზოგადოების ნაწილში იწვევს უნდობლობას, ვინაიდან ახლავს რისკები და სირთულეები, რომლებიც მიუთითებს მის სუსტ მხარეებზე. ყველაზე მთავარი გამოწვევა ტექნოლოგიების უსაფრთხოება და ტექნიკური გამართულობაა. ტექნოლოგიები რომელთა შესყიდვა სახელმწიფოებს საერთაშორისო კომპანიებისგან უწევთ დაშიფრულია და მხოლოდ მოკლე ვადით მიუწვდებთ მასზე ხელი შემსყიდველებს. აღნიშნული პოლიტიკა მიმართულია მავნე აქტორებისგან თავდაცვისკენ, რათა სისტემა არ გახდეს მოწყვლადი. შესაბამისად უსაფრთხოების ნორმები დაცული უნდა იყოს როგორც საარჩევნო უბნებზე, ასევე ოლქებში, ამის უზრუნველყოფა კი ყველას არ შეუძლია, რადგან საჭიროებს სპეციალურ ტექნიკურ განათლებას. ელექტრონულ არჩევნებთან ასოცირებულ კიდევ ერთ რისკად შეიძლება ჩაითვალოს საგარეო საფრთხე, რომელიც კიბერსივრცეში ნებისმიერი წერტილიდან შეიძლება იყოს მომართული. კიბერშეტევებისა და ჰაკერული თავდასხმებისგან თავის არიდება წარმოადგენს დიდ გამოწვევას ელექტრონული არჩევნებისთვის, თუმცა აქ საყურადღებოა ის, თუ რომელ ტიპს იყენებს სახელმწიფო და არჩევნების რომელ პროცედურას ახორციელებს ელექტრონული ტექნოლოგიების დახმარებით. ეს საფრთხე განსაკუთრებით დგას ინტერნეტით ხმის მიცემის შემთხვევაში, რომელზეც შემდეგ თავში უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

და ბოლოს აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნდობის საკითხი, რომელიც შესაძლოა განვიხილოთ როგორც დადებით, ისე ურყოფით ნაწილში. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ელექტრონული სისტემების მიმართ ნდობის არსებობა, მათი ეფექტური მუშაობა განისაზღვრება საზოგადოების ნდობით, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე ვერ მიიღწევა. (West, 2004) ერთის მხრივ, ელექტრონული ტექნოლოგიები არჩევნებში უზრუნველყოფენ ადამიანის მინიმალური ჩარევის შესაძლებლობას, გაყალბებისა და მანიპულაციების შემცირებას და პროცესს მეტად მოქნილსა და ინკლუზიურს გახდიან, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს

საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე საარჩევნო სისტემის მიმართ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ საზოგადოებებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიახლის მიმართ შიში და მიუღებლობა, ნდობის ფაქტორის გაჩენა ელექტრონული სისტემის მიმართ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. სწორედ ნდობის ფაქტორმა განაპირობა 2005 წლის არჩევნების შემდგომ გერმანიაში ელექტრონული არჩევნების შეჩერება, როცა მოსახლეობა ევროპარლამენტარს ირჩევდა, რამდენიმე მოქალაქემ სასამართლოს მიმართა სისტემაში მანიპულაციის საშუალების ფაქტის აღმოჩენის შესახებ, რის გამოც ეჭვქვეშ დადგა ელექტრონული ტექნოლოგიების სანდოობა.¹⁴

1.4. ინტერნეტ არჩევნები (I-Voting) და ბლოკჩეინი

ელექტრონული არჩევნების განხორციელების ერთ-ერთი ალტერნატივა, რომელიც ზემოთ განხილული მეთოდებისგან განსხვავდება, არის ინტერნეტით ხმის მიცემა. იგი საშუალებას იძლევა ამომრჩეველმა ყოველგვარი კონტროლის გარეშე, ნებისმიერი ადგილიდან, ტელეფონის ან კომპიუტერის გამოყენებით მისცეს ხმა. ამ დროს ხმის ფარულობა განსაკუთრებით დაცულია, ვინაიდან ბიულეტენიდან ამომრჩევლის ვინაობა იშლება მანამ, სანამ ის გადაინაცვლებს დასათვლელად (Krimmer, 2004). ინტერნეტით ხმის მიცემა ყველაზე მარტივი საშუალებაა და ამავდროულად ყველაზე მოწყვლადი. ის ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეებსაც აძლევს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ბევრ რისკს აჩენს. მათი აზრით, სისტემების და მათი ცვლილებების მართვა დაკავშირებულია არასტრუქტურირებულ პრობლემურ პარამეტრებთან, რომელთა უსაფრთხოების დაცვა ძალიან რთულია. (Zissis, 2007). ინტერნეტ არჩევნების გამოყენების ყველაზე წარმატებული მაგალითი არის ესტონეთი, რომელიც ყველა დონის არჩევნებს ატარებს ამ მეთოდით. (Wolf, 2010). ინტერნეტ არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია მოსახლეობის ინტერნეტიზაციის მაღალი მაჩვენებლის არსებობა, მოქალაქეთა მზაობა და გამართული სერვერები. მოქალაქეთა ცნობიერება ნებისმიერი ელექტრონული

¹⁴ National Democratic Institute, The Constitutionality of Electronic Voting in Germany. - <https://www.ndi.org/e-voting-guide/examples/constitutionality-of-electronic-voting-germany>

ტექნოლოგიის გამოყენებისას არჩევნებში, დიდ გავლენას თამაშობს პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებაზე, ამიტომ აუცილებელია ამომრჩეველი ფლობდეს შესაბამის ტექნიკურ ცოდნას, განსაკუთრებით ინტერნეტ არჩევნების დროს ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, სხვა შემთხვევაში პროცესი შეიძლება ჩავარდეს.

ტექნოლოგიური პროგრესის კიდევ ერთი საინტერესო პროდუქტია ბლოკჩეინ სისტემები, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბაზას და შეუძლია ერთდროულად ძალიან ბევრი მომხმარებლის ერთმანეთთან დაკავშირება (Kshetri, N. & Voas, J. , 2018). ამისთვის ბლოკჩეინი იყენებს ქსელებს და გვადლევს საშუალებას, მასში განხორციელებული თითოეული ოპერაცია სამუდამოდ შეგვინახოს. ამგვარ ბაზებში მონაცემთა შეცვლა ან წაშლა შეუძლებელია, შესაბამისად ის საარჩევნო სისტემისთვის ერთი შეხედვით ძალიან გამოსადეგი შეიძლება იყოს. ბლოკჩეინი, ეს არის სრულიად გამჭვირვალე, არაკონტროლირებადი და დაცული ინოვაცია, რომელიც დღესდღეობით ყველაზე წარმატებით საფინანსო სფეროში გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან მარტივი და ხარჯეფექტიანი ალტერნატივაა ტრადიციული არჩევნების ჩანაცვლებისთვის, კიბერუსაფრთხოების ექსპერტები¹⁵ საუბრობენ ბლოკჩეინთან დაკავშირებულ რისკებთან და ხაზს უსვამენ გარე საფრთხის არსებობას, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი - ქვეყნის შიგნით კერძო სექტორი, თუ სხვა გარე აქტორების ბოროტი ჩარევა ტექნოლოგიის ქსელში (Ruoti, S. & Kaiser, B. , 2019)

როგორც ვხედავთ, არჩევნებში ელექტრონული მოწყობილობების დანერგვის განსხვავებული ფორმა გამოიყოფა. თითოეულს გამოირჩევს სპეციფიკური მახასიათებლები და საშუალებას გვადლევს საარჩევნო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე გამოვიყენოთ ისინი როგორც სრულად, ისე შერეული მოდელით. თუმცა ყველა სახელმწიფო მისთვის სასურველ ფორმას ირჩევს იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რაც დგას ქვეყნის წინაშე და რასაც ტექნოლოგიების დახმარებით უნდა უპასუხო.

¹⁵ Specter M. "Going from Bad to Worse: From Internet Voting to Blockchain Voting", 6.11.2020 - <http://people.csail.mit.edu/rivest/pubs/PSNR20.pdf>

II თავი. ელექტრონული არჩევნების ნდობის პირამიდა და ქართული კონტექსტი

„ხმის მიცემის სისტემა მხოლოდ მაშინაა კარგია, როდესაც საზოგადოებას სჯერა მისი“ (McGaley, 2003). ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა არჩევნებში ემსახურება სანდო, მარტივი და გამჭვირვალე საარჩევნო სისტემის მშენებლობას, რომელიც ამავდროულად სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი ნდობით.

საზოგადოების ნდობა პირველ რიგში აგებულია იმ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელშიც იწერება ელექტრონული არჩევნები, შესაბამისად ყველა ის განწყობა რომელიც წინასწარ იქნება გამოხატული ამომრჩევლის მხრიდან, განპირობებულია სახელმწიფოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტით. „ადამიანები გამოიყენებენ დაუცველ მოწყობილობებს მაშინაც კი, თუ იგრძნობენ, ან იფიქრებენ, რომ დაცულები არიან“ (Oostveen, 2013). სწორედ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტს შეუძლია აიძულოს საზოგადოებას თვალი დახუჭოს იმ ხარვეზებზე, რომელიც თავდაპირველად ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას ახლავს თავს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ საზოგადოების ნდობა ბოროტად იქნება გამოყენებული პოლიტიკური კონიუნქტურის მიერ, მომავალში სხვა ოპერატიულ-ტექნიკური თუ სამართლებრივი სისუსტეები, რომლებიც შეიძლება შეიქმნას, ძირს გამოუთხრის საზოგადოების ნდობას მთელი საარჩევნო სისტემისადმი (Barber B. , 1999).

ცვალებადი და სუსტი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი პირდაპირ გავლენას ახდენს ინოვაციის დანერგვაზე. ელექტრონული არჩევნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შესაძლოა მოჰყვეს სკეპტიკოსთა ძლიერი საპროტესტო ტალღა და რეფორმის პილოტირებაც კი შეუძლებელი გახდეს. ნაკლოვანებები ყველაფერს აქვს, ისევე როგორც ძლიერი მხარე - ტექნოლოგიების სწორ გამოყენებას სჭირდება სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რაც დაგროვებადია და იძლევა საშუალებას გამოვიყენოთ საზოგადოების სასიკეთოდ.

ქართული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი ნდობის ფაქტორზე ბევრ რამეს გვეუბნება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის საწყისები უკვე გვხვდება, და აგრეთვე წარმატებით განხორციელდა საარჩევნო სისტემაში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების პილოტირება (Morry, 2021), ქართველ

ამომრჩეველს სჭირდება პოლიტიკური კონსენსუსი, ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილება და ინსტრუქცია, სწორი მოქმედებისთვის, ვინაიდან, არჩევნების ელექტრონული ფორმით ჩანაცვლება საწყის ეტაპზე, საზოგადოების ნაწილში წარმოშობს გაურკვევლობას და დაბნეულობას (Wallach, 2015).

2.1. სანდობის პრობლემა ელექტრონული არჩევნების დროს

ნდობის პირამიდაში, რომელსაც აქტორებად სახელმწიფო ინსტიტუტები, მმართველები, მენეჯერები და ამომრჩევლები ევლინება, მთავარი ადგილი საზოგადოებას უჭირავს. იმისათვის, რომ ელექტრონული არჩევნები წარმატებით დაინერგოს და ეფექტიანად იფუნქციონიროს, საჭიროა საზოგადოებრივი განწყობა იყოს პოზიტიური სიახლეების მიმართ (Masiero, 2019). ნდობის გაძლიერებაზე ზრუნვა პირდაპირ სახელმწიფოს ვალდებულებაა, ვინაიდან არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მას სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა, შესაბამისად მოითხოვს პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას და ფართო საჯარო განხილვას. ამომრჩეველთა ნდობის მოპოვება მით უფრო გაადვილდება, რაც უფრო ღია და გამჭვირვალე იქნება პროცესი (Frank, R. & Martinez, I., 2017). თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რთულ, პოლარიზებულ და მყიფე პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში ელექტრონული არჩევნების რეფორმაზე საუბარი ჯერაც წარმოადგენს დიდ გამოწვევას. იქ სადაც არ არსებობს ეროვნული თანხმობა რიგ საკითხებზე და ჭირს საუბარი ხალხსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, ნებისმიერ რეფორმაზე საუბარი ზედმეტია. ამდენად, საზოგადოებრივ ნდობას ყოველთვის შეუძლია სახელმწიფოსთვის წარმატების მოტანა. თანამონაწილეობა კი აჩქარებს დემოკრატიზაციას (Athanasios, 2007).

2.2. სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გავლენა ელექტრონულ არჩევნებზე

ელექტრონული არჩევნების დანერგვა მანიპულაციებისა და ფართოდ გავრცელებული გაყალბების სხვადასხვა ტექნიკების რისკს მკვეთრად ამცირებს საარჩევნო უბნების დონეზე, თუმცა ამ საფრთხეების კონცენტრირება შესაძლოა მაინც მოხდეს ცენტრალურ დონეზე. მას არ შეუძლია ბოლომდე აღმოფხვრას აღნიშნული უკანონობა, ვინაიდან

ელექტრონული ტექნოლოგიები საზოგადოებაში ღრმად ფესვადგმულ მანკიერებებს ვერ შეებრძოლება, განსაკუთრებით თუ მანიპულაციები ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ხორციელდება.

სახელმწიფოში, სადაც საარჩევნო გარემო ხასიათდება დამაბულობითა და შეინიშნება რყევები დემოკრატიზაციის პროცესში, გაცილებით რთულია ამომრჩევლის ნდობის მოპოვება. ელექტრონული არჩევნების სისტემისთვის აუცილებელია ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ფონი იყოს მდგრადი, მშვიდი და სიახლებისადმი ღია. აუცილებელია საზოგადოების ინტეგრაცია, რათა მიღწეულ იქნას სოციალური თანხმობა, და არჩეული პოლიტიკა იყოს საყოველთაოდ მიღებული.

კავკასიის ბარომეტრის კვლევის შედეგებით, რომელმაც აჩვენა, რომ საქართველოში საზოგადოება ნაწილობრივ ენდობა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ სახელისუფლებო ინსტიტუტებს¹⁶¹⁷ (CRRC, 2021), შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოსახლეობის დამოკიდებულებაზე არჩევნების ელექტრონული მოდელის მიმართ.

საქართველოს საარჩევნო სისტემაში ელექტრონული ტექნოლოგიის დანერგვის გარკვეული გამოცდილება უკვე არსებობს, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, თუმცა სანამ აღნიშნულის პილოტირება დაიწყებოდა, ქვეყანაში NDI-ის მიერ 2016 წელს ჩატარდა (NDI, 2016). გამოკითხვა სტრატეგიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევით. კვლევა მიზნად ისახავდა საზოგადოების განწყობის შეფასებას არჩევნებში ელექტრონული მოწყობილობის, კერძოდ ბიულეტენის მაგივრად ხმის მიცემისას კომპიუტერის გამოყენების შესახებ. გამოკითხულთა 51%-მა მხარი დაუჭირა, 39%-მა არა, ხოლო 10% -მა უარი თქვა პასუხზე. შედეგებმა 2016 წელს ნამდვილად აჩვენა საზოგადოების მზაობა არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ელექტრონულ არჩევნებზე სოციალურ გარემოს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. საზოგადოებაში გაჩენილი წინააღმდეგობები არჩევნების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით, გამოწვეული შეიძლება იყოს ამომრჩევლის პირადი გულისწყვეტით,

¹⁶ კავკასიის ბარომეტრი 2021 საქართველო. ნდობა- ადგილობრივი ხელისუფლება- <https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/TRULOCG/>

¹⁷ კავკასიის ბარომეტრი 2021 საქართველო. ნდობა- პარლამენტი - <https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/TRUPARL/>

ზოგისთვის ეს უბრალოდ ტექნოლოგიებისადმი შიშს და უნდობლობას უკავშირდება, ზოგიც ფიქრობს, რომ სახელმწიფოს გაცილებით მწვავე საკითხები აქვს მოსაგვარებელი და უბრალოდ „საზრუნავის“ პრიორიტეტიზაცია დაგმონ. ნებისმიერ შემთხვევაში, ელექტრონული საარჩევნო სისტემის დასანერგად, ქვეყანა ვალდებულია სწორად შეაფასოს ყველა ის მოსალოდნელი რისკი, რომელიც გრძელვადიან სარგებელს უკავშირდება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

2.3. ელექტრონული არჩევნების ოპერატიული და ტექნიკური პრობლემები

ელექტრონული არჩევნების წარმატებით განხორციელება, ნებისმიერი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაკავშირებულია შესაბამის ოპერატიულ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან. როდესაც ქვეყანაში არსებობს სოციალური თანხმობა არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, და არ არსებობს სათანადო ტექნიკური ბაზა, პროცესი რთულდება. ელექტრონული არჩევნები არ შეიძლება განვიხილოთ ინოვაციად, რომელიც გადაჭრის ტრადიციული საარჩევნო სისტემისთვის დამახასიათებელ ყველა პრობლემას. ელექტრონული საარჩევნო სისტემის აგება კომპლექსური საკითხია, ქართულ კონტექსტზე მორგება კი კიდევ უფრო მეტ შრომას მოითხოვს. როგორც კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი, გია ბასილაძე აღნიშნავს, საჭიროა არსებული სისტემის პირველ ეტაპზე ნაწილობრივი სახეცვლილება, რათა ნიადაგი მომზადდეს ელექტრონული სისტემის სრულად დასანერგად (გ.ბასილაძე, 2013).

ერთიანი ელექტრონული საარჩევნო სისტემის შესაქმნელად აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს დაცული ქსელი, რომლის დაპროექტება VPN¹⁸ ტექნოლოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი. (ბასილაძე, 2013). ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენს გამოსავალს, მაშინ როდესაც ტრადიციული ფორმით არჩევნები მოითხოვს ადამიანის ჩარევას, ელექტრონული ქსელები და მოწყობილობები ამას თავს დამოუკიდებლად ართმევენ შესაბამისი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მეშვეობით. თუმცა, ცხადია, ისეთ პრობლემებს, როგორცაა მანქანის მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამის დახარვეზება და ა.შ. სჭირდებათ პროფესიონალთა გუნდი,

¹⁸ VPN ტექნოლოგია- ვირტუალური პირადი ქსელი

რომელიც შესაბამისი ოპერატიულ-ტექნიკური ცოდნით იქნება შეიარაღებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანის მიერ დაპროგრამებული მანქანის შეკეთება, კვლავ ადამიანს შეუძლია, ამიტომ სანდოობის პრობლემას ეს ცალსახად არ უკავშირდება (Gritzalis, 2002).

III თავი. ელექტრონული არჩევნების ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო

დემოკრატიზაციის პროცესში რიგი ქვეყნებისთვის ელექტრონული არჩევნები წინგადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა, ბევრისთვის კი ტრადიციული მეთოდი შეუცვლელია.

პოზიტიური სცენარით, ელექტრონული არჩევნების დანერგვას შეუძლია გამოიწვიოს ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდა. მოქალაქეებს ამ დროს საშუალება აქვთ მოსახერხებელ გარემოში საკუთარი აზრი თვისუფლად დაფიქსირონ. ელ-არჩევნების დროს, ადგილმდებარეობის ან/და გადაადგილების პრობლემა აღარ წარმოადგენს ამომრჩეველთა არ წასვლის/მონაწილეობის მიზეზს. შესაბამისად, შესაძლებელია ამ მიზეზით გამოწვეული პასიური ამომრჩეველების გააქტიურებაც. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებენ მთავრობებს- არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის განხილვისას. ვინაიდან არასწორი პოლიტიკით განხორციელებულ ცვლილებას საარჩევნო პროცესში შეიძლება მოჰყვეს დიდი ზიანი (Europe, 2010).

ფაქტობრივად, ქართულ რეალობაში, არჩევნების ელექტრონული მოდელის დანერგვა განპირობებულია საარჩევნო პროცესების მიმართ მოსახლეობის არასაკმარისი ნდობით და ლეგიტიმაციით. განსაკუთრებით მძაფრად ეს გამოიხატა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, როცა ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა მმართველ პოლიტიკურ ძალას და არ შევიდა პარლამენტში (Civil.ge, 2020). ამას ემატებოდა საზოგადოების პროტესტიც, საბოლოოდ კი ქვეყანაში პოლარიზაციის დონე გაიზარდა, რასაც მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორებისგან მწვავე შეფასებები (Borrell, 2021).

საარჩევნო პროცესების ელექტრონული მოწყობილობების დახმარებით წარმართვას მოკლევადიან პერსპექტივაში შეუძლია გავრცელებული გაყალბების შესაძლებლობების თავიდან არიდება და შედეგების გამოცხადების დაჩქარება. შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში კი, საარჩევნო ადმინისტრირებისთვის ხარჯების ოპტიმიზება (Goldsmith Ben R. H., 2013).

3.1. ელექტრონული საარჩევნო პროცესი უცხოეთის მაგალითზე

საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შემთხვევაში წარმატებული არ არის. ამის დადასტურება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე შესაძლებელი და მათი გამოცდილების დეტალური განხილვა წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს საქართველოს მსგავსი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ჯერ ინოვაციის დანერგვის პროცესში არიან.

საერთაშორისო პრაქტიკის განხილვისას შორს წასვლა არ გვჭირდება, რადგან მეზობელმა სომხეთმა, ჯერ კიდევ 2016 წელს დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორი ფორმით დაენერგათ ელექტრონული მოწყობილობები არჩევნებში. მსჯელობის პროცესში საზოგადოების აქტიურმა ჩართულობამ განაპირობა სომხეთის მიერ *Smartmatic*¹⁹ ელექტრონული მოწყობილობების შექმნა, რომელიც დატესტვიდან 2 თვეში, 2017 წლის საპარლამენტო არჩევნებში იქნა გამოყენებული. აღნიშნული მოწყობილობა აერთიანებს იდენტიფიცირებისთვის დოკუმენტის წამკითხავს, ამომრჩეველის სიის ელექტრონულ ბაზასა და თითის ანაბეჭდის სკანერს. რაც შეეხება ხმის მიცემის პროცესს, სომხეთი იყენებს (VADs) მოწყობილობას, რომელიც მომენტალურად ახდენს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სკანირებას და შესაბამისი ფერის (მწვანე) ნიშნის გამოსახვით იძლევა შეტყობინებას იმის შესახებ, გამოიყენა თუ არა ამომრჩეველმა 1 ხმის უფლება. პროცესს აკვირდება დამკვირვებელი, რომელიც ფოტოსურათის მიხედვით გადამოწმების მიზნით ახდენს მეორად იდენტიფიცირებას. ამომრჩეველს ბიულეტენზე ხმის მიცემა ხელით (კალმით) შეუძლია, ბიულეტენის ყუთში ჩაგდებათ კი ასრულებს ხმის მიცემის პროცესს. ხმის დათვლის პროცესში სომხეთი ელექტრონულ ტექნოლოგიებს კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, არ იყენებს (Commisions, 2016).

¹⁹ Smartmatic- <https://www.smartmatic.com/us>

თავდაპირველად, სომხეთში ელექტრონული ტექნოლოგიების არჩევნებში დანერგვის მიმართ დიდი იყო კრიტიკაც და სკეპტიციზმიც, რომელიც გამოწვეული იყო ინფორმირების დაბალი დონით. თუმცა, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ (OSCE/ODIHR)²⁰ ინოვაცია შეაფასა როგორც ნდობის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად, არჩევნებზე არ გამოკვეთილა მნიშვნელოვანი ტექნიკური ხარვეზები და მრავალჯერ ხმის მიცემის შემთხვევა დაყვანილ იქნა მინიმუმამდე (OSCE/ODIHR, 2017). სომხეთში რეფორმის განხორციელებამდე გაყალბებასთან დაკავშირებული ბრალდებები ხშირი იყო, იმპლემენტაციის შემდგომ კი გაიზარდა ამომრჩეველთა ნდობა საარჩევნო პროცესისადმი, რასაც ადასტურებს კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის გამოკითხვა, სადაც ამომრჩეველთა 62% მიიჩნევდა, რომ არჩევნებში გამოყენებული მოწყობილობების დახმარებით არჩევნები მეტად გამჭვირვალე გახდა.²¹ მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, სომხეთში გამოყენებულ (VADs) ტექნოლოგიებს მაინც ჰქონდა წმინდა ტექნიკური ხარვეზები, თუმცა არა არსებითი, ის საარჩევნო უბნების თითქმის 95%-ში გამართულად ფუნქციონირებდა (ENEMO, 2018). სომხეთის გამოცდილების შეფასება არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით დადებითად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან ამომრჩეველთა ნდობა საარჩევნო პროცესების მიმართ განმტკიცდა, და გაიზარდა ეფექტიანობა.

ძალიან საინტერესოა მოლდოვის მაგალითი, რომელიც შედარებით ადრე, 2008 წელს იწყებს არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას. ეტაპობრივი განვითარებისა და საერთაშორისო მხარდამჭერების (UNDP, EU)²² დახმარების შედეგად მოლდოვაში ჩამოყალიბდა ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას სთავაზობდა სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცედურის ელექტრონულად განხორციელების შესაძლებლობას. მისი მთავარი მიზანი გაყალბების პრობლემის აღმოფხვრა იყო. სისტემა პირველად გამოყენებულ იქნა 2014 წლის საპარლამენტო არჩევნებში (USAID, 2013). ამომრჩევლის იდენტიფიკაციისას მოლდოვა

²⁰ ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) - International Election Observation Mission. Republic of Armenia- Parliamentary Elections- <https://www.osce.org/files/f/documents/f/9/309156.pdf>

²¹ Caucasus Research Recourse Center, Post-Election Survey, Armenia, 2019

²² UNDP- გაეროს განვითარების პროგრამა; EU-ევროკავშირი

იყენებს ადამიანურ რესურსს, რომელიც კომპიუტერის დახმარებით ადგენს პირის ვინაობას და „1 ხმის უფლებას“. ხმების დათვლა, ისევე როგორც სომხეთში, მოლდოვაშიც ტრადიციული მეთოდით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ მოლდოვაში ელექტრონული ტექნოლოგიების დახმარებით ჩატარებული არჩევნები გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებად შეფასდა (OSCE, 2012). ბუნებრივია, მოლდოვის შემთხვევაშიც იკვეთებოდა ტექნოლოგიური ხარვეზები, რომელთან გამკლავებაც სახელმწიფომ შეძლო. ამას ადასტურებს ეუთო/ოდირის შეფასებებიც მომდევნო წლებში²³ (OSCE, 2020).

ელექტრონული არჩევნების ჩატარების გამოცდილება აქვს ცენტრალური აზიის ერთადერთ საპარლამენტო დემოკრატიას, ყირგიზეთსაც, რომელიც 3 წლით ადრე დაიწყო ინოვაციის დანერგვისთვის მზადება. ყირგიზეთი ამომრჩევლის იდენტიფიცირებისთვის იყენებს (EVID) მოწყობილობას, ხოლო ხმების დათვლის პროცესში ავტომატური ბიულეტენების სკანერს, რომელიც უზნის დახურვის შემდეგ შედეგებს ავტომატურად გზავნის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სადაც შეჯამებისთვის ხდება მისი გაერთიანება სხვა უზნების ინფორმაციულ ნაკადთან (Atkins, 2017). ყირგიზეთის პასუხი ტექნიკურ ხარვეზებზე მდგომარეობს უზნებზე განთავსებული დამატებითი სკანერებისა და ოპერატიულ-ტექნიკური ჯგუფების ჩამოყალიბებაში, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებენ გამოვლენილ ხარვეზებზე.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია ალბანეთი, სადაც 2021 წელს ქვეყნის სრული მასშტაბით ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით საპარლამენტო არჩევნები. აღსანიშნავია, რომ ალბანეთს რამდენიმე წელი დასჭირდა იმისთვის, რომ მიეღწია სოციალურ-პოლიტიკური კონსენსუსისთვის, რაც მნიშვნელოვანია გამოწვევაა ინოვაციის დანერგვისთვის. ალბანეთი ელექტრონულ მოწყობილობას იყენებს ამომრჩევლის იდენტიფიკაციისას, ხოლო ხმების დათვლა ხდება ტრადიციული

²³ OSCE. Republic of Moldova. Presidential Elections 30 Oct. 2016-
https://www.osce.org/files/f/documents/2/5/300016_0.pdf
 OSCE. Republic of Moldova. Parliamentary Elections 24 Feb. 2019-
<https://www.osce.org/files/f/documents/8/a/420452.pdf>
 OSCE. Republic of Moldova. Presidential Elections. 1-15 Nov. 2020-
<https://www.osce.org/files/f/documents/1/5/479972.pdf>

მეთოდით. თუმცა მას სხვა ქვეყნებისგან განასხვავებს ის ფაქტი, რომ უზნების დახურვის შემდგომ ბიულეტენების გადატანა ხორციელდება სახელმწიფო პოლიციის მიერ ბიულეტენების დათვლის ცენტრში. ალბანეთი, ისევე როგორც დღეს საქართველო, ჯერ კიდევ პილოტირების პოლიტიკას ატარებს და საკმაოდ ეფექტიანად წარმართავს პროცესს (Smartmatic). ალბანეთმა არჩევნების წარმატებული მოდერნიზებით შექმნა საინტერესო პრეცედენტი ევროპაში და ბევრი ქვეყნისთვის მისაბამიც გახდა.

არჩევნებში ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება ყოველთვის წარმატებულ რეფორმად არ აღიქმება, ვინაიდან რიგი გამოწვევების გამო მასზე უარს ამბობს სხვადასხვა ქვეყანა. მათგან ყველაზე დიდი ისტორია ნიდერლანდების სამეფოს აქვს. აქ ჯერ კიდევ 1965 წელს დაიწყო საარჩევნო სამართლის იმპლემენტაცია არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. 1990 წელს კი პირველად ჩატარდა ელექტრონული არჩევნები, სადაც სახელმწიფო თავის წარმოებულ ხმის მიცემის აპარატებს (NEDAP) იყენებდა. მოწყობილობა პირდაპირი ჩაწერის ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის (DRE) მიხედვით ფუნქციონირებდა და შედეგებს უზნის დახურვიდან 2-3 საათში ცნობილს ხდიდა (Archives, 2017). ხმის მიცემის ახალი სისტემა ნიდერლანდებისთვის ერთი შეხედვით პოზიტიური ცვლილებების მომტანი იყო, თუმცა ხანდაზმული თაობისთვის ის პრობლემას გამოყენების დღიდან წარმოადგენდა. მალე ამას დაემატა საკითხი უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის შესახებ, რასაც საზოგადოების პროტესტიც კი მოჰყვა, რომლის ლოზუნგებიც ხმის მიცემის კომპიუტერებისადმი უნდობლობას ეხებოდა (Paul, 2008). მას შემდეგ, რაც ნიდერლანდების მთავრობამ მოსახლეობის უკმაყოფილებაზე რეაგირება მოწყობილობების შემოწმებით მოახდინა, აღმოჩნდა, რომ მათ სისტემა კონფიდენციალურობის დაცვის სუსტი ხარისხი ჰქონდა, შედეგად კი, 2007 წელს აიკრძალა ხმის მიცემის აპარატების გამოყენება (Goldsmith & Ruthrauff).

ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის გამოყენება აკრძალეს გერმანიაშიც, სადაც პირველად აღნიშნული 1998 წელს იქნა გამოყენებული. ეტაპობრივი დანერგვის პროცესში, 2005 წლისთვის უკვე 2მლნ ამომრჩეველმა მისცა ხმა ელექტრონულად. მიუხედავად წარმატებული იმპლემენტაციისა, 2005 წლის ევროპის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2-მა გერმანელმა ამომრჩეველმა საკონსიტუციო დავა დაიწყო,

სისტემის გაუმჯობესებისა და მოწყობილობის გამოყენებისთვის ექსპერტული ცოდნის საჭიროების საფუძვლით. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ქვეყანაში აკრძალა ხმის მიცემის ელექტრონული სისტემის გამოყენება (Court, 2009).

საინტერესოა ირლანდიის გამოცდილების განხილვაც, რომელმაც ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის აპარატები შეიძინა ნიდერლანდებისგან და 2002 წელს ქვეყნის სამ ერთეულში დაიწყო მისი პილოტირება. საზოგადოება თავიდანვე კრიტიკულად უყურებდა საკითხს და მთავარ პრობლემად უსაფრთხოების ასპექტები იკვეთებოდა, რომელთა გაუმჯობესებას დიდი რესურსი სჭირდებოდა. ირლანდიის მთავრობამ ტექნოლოგიის სამომავლოდ აქტიური გამოყენების პერსპექტივა ვერ დაინახა და 2009 წელს მისი გამოყენება შეწყდა (Collins, 2009). ბოლო წლებში საუბრები არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე, განახლდა. კვლევების თანახმად ირლანდიელთა 46% ფიქრობს, რომ ქალაქის ბიულეტენების ჩანაცვლება სრულად უნდა მოხდეს ელექტრონული კენჭისყრის სისტემით, ხოლო 41% ეწინააღმდეგება ცვლილებას (Byrne, 2019).

არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა ფორმა არსებობს, თუმცა ინტერნეტით ხმის მიცემა (I-Voting) საკმაოდ განსახვავებული პრაქტიკაა. ინტერნეტით ხმის მიცემის ნოვატორი სახელმწიფო ესტონეთია. იქ ჯერ კიდევ 2001 წლიდან იწყება არჩევნებში ციფრული ტექნოლოგიების ჩართვა და 2005 წელს უკვე ჩატარდა პირველი ინტერნეტ არჩევნები (e-estonia). ნიშანდობლივია, რომ ესტონეთში საზოგადოება ინტერნეტ არჩევნების სისტემის მიმართ გამოირჩევა ნდობის მაღალი ხარისხით, რაც განპირობებულია ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარებით. ესტონურ მოდელში საარჩევნო პროცესი მთლიანად ელექტრონულად მიმდინარეობს. ამომრჩეველი ხმას აძლევს ინტერნეტით ძალიან მარტივი აპლიკაციის მეშვეობით, ის სპეციალურ მოწყობილობაში ათავსებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, რომლის დადასტურების შემთხვევაში იღებს კოდს უკვე ხმის მიცემისთვის. PIN კოდის შეყვანით ამომრჩეველი აფიქსირებს საკუთარ არჩევანს, რომელსაც თან ურთავს ელექტრონულ ხემოწერას. აღსანიშნავია, რომ ხემოწერები არჩევნების დასრულებისთანავე ავტომატურად იშლება, რაც შეუძლებელს ხდის ამომრჩევლის არჩევანის ნახვას. რაც შეეხება ხმების დათვლას, პროცესს აცორციელებს სახელმწიფო საარჩევნო ოფისი (SEO).

ხმებს ითვლის სპეციალური ალგორითმების მეშვეობით დაწერილი პროგრამა, აჯამებს და აქვეყნებს მას. მეორე დღეს კი სპეციალური კომიტეტი (EVC) ფაილების შემოწმებით ამოწმებს გამოქვეყნებული შედეგების სიზუსტეს (OSCE, 2015). ესტონეთი აქტიურად მუშაობს უსაფრთხოების გაძლიერებაზე და მუდამ აუმჯობესებს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას. ქვეყანაში არსებობს კომპიუტერული საგანგებო სიტუაციების რეაგირების ჯგუფი (CERT)²⁴, რომელიც ეხმარება სახელმწიფოს კიბერთავდასხმების თავიდან არიდებაში.

ესტონეთი ძალიან ბევრს მუშაობდა იმისთვის, რომ საარჩევნო რეფორმა წარმატებით გაეტარებინა, ამაში კი მას მოსახლეობაც უწყობდა ხელს, ვინაიდან თუ 2005 წელს ინტერნეტ არჩევნებში მონაწილეობა მოსახლეობის 1,9%-მა მიიღო, 2015 წლისთვის ნიშნული გაიზარდა 30,5%-მდე, 2019 წლისთვის კი 43,8%-მდე მიაღწია (Past L., Brown K., 2019). ესტონური მოდელი ელექტრონული არჩევნების ყველა დადებით მხარეს წარმოაჩენს და კარგ მაგალითს აჩვენებს მსოფლიოს გამოწვევებთან გამკლავების კუთხითაც.

ესტონეთის მსგავსად ინტერნეტით ხმის მიცემის პროცესი წარმატებით დაინერგა ნორვეგიაში. ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობა ნორვეგიაში 2011 წლიდან 2013 წლამდე 10%-ით გაიზარდა (Trechsel, 2016). თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მთავრობისთვის და რესურსის დახარჯვა ამ მიმართულებით შეწყვიტეს, ამიტომ შეწყდა ხმის მიცემის ელექტრონული სისტემის გამოყენებაც. მიუხედავად ამისა, ნორვეგიაში, ისევ არის საუბარი სისტემის აღდგენაზე.

ზემოთ განხილული სახელმწიფოების პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას სჭირდება პირველყოვლისა პოლიტიკური ნება, საზოგადოებრივი თანხმობა და მატერიალური რესურსი. მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების დონეც და ქვეყნის ციფრული განვითარების ინდექსი.

3.2. ელექტრონული არჩევნები და საქართველოს გამოცდილება

საქართველოში საუბარი არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობაზე, საარჩევნო პროცესში არსებული დარღვევების, გაყალბების, ადამიანური ფაქტორით გამოწვეული

²⁴ Cyber Security Intelligence, CERT - <https://www.cybersecurityintelligence.com/cert-estonia-1924.html>

უზუსტობებისა და ბევრი სხვა პრობლემის შესახებ, განსაკუთრებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახშირდა. ეს ძირს უთხრის ნდობის ფაქტორს და საარჩევნო გარემოს გამჭვირვალობას ექვეყნებ აყენებს.

საქართველოში პირველად ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესში დაიწყო 2018 წელს, თუმცა ეს იყო საპილოტე რეჟიმში და მას კონკრეტულ შედეგებზე გავლენა არ ჰქონია. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება მოხდა შუალედურ არჩევნებზე, ცაიშის საარჩევნო ოლქში და შერჩეულ ტექნოლოგიად წარმოდგენილი იყო ოპტიკური ნიშნის ამომცნობი ხმის დათვლის ელექტრონული აპარატები (OMR). რეალობაში განხორციელებულმა სიმულაციამ აჩვენა, რომ არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენებას მართლაც შეიძლება მოჰყვეს რიგი პრობლემები. სამართლიანი არჩევნების (ISFED) შეფასებით, მონიტორინგის პროცესში დაფიქსირებული ხარვეზები მიემართებოდა ძირითადად ფარულობის დარღვევის შემთხვევებს. კერძოდ, მხედველობის პრობლემის მქონე პირებს უჭირდათ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი არჩევანის დამოუკიდებლად დაფიქსირება და დახმარებას კომისიის წევრს სთხოვდნენ. ამ შემთხვევაში კანონი უშვებს გამონაკლისის სახით შესაძლებლობას, რომ ასეთ ამომრჩეველს დახმარება გაუწიოს სხვა ამომრჩეველმა. აგრეთვე პრობლემა იყო ბიულეტენის ჩარჩო კონვერტში მოთავსება ისე, რომ ხილული არ ყოფილიყო ამომრჩევლის არჩევანი, რაც პილოტირების პროცესში გაურთულდათ ამომრჩევლებს, ვინაიდან აპარატში მოთავსებას სჭირდებოდა ინსტრუქცია, რომელიც არ იყო სათანადოდ ახსნილი²⁵ (ISFED, ზუგდიდში თვითმმართველობის მაჟორიტარული შუალედური არჩევნების შეფასება, 2018). აღსანიშნავია, რომ როდესაც საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიები ინერგება, წინასწარ უნდა იყოს ახსნილი გარკვეული საინფორმაციო კამპანიების საფუძველზე ის, თუ როგორ და რა საშუალებით უნდა მისცეს ამომრჩეველმა ხმა ისე, რომ არ დაირღვეს ფარულობის პრინციპი.

1 წლის შემდგომ, ელექტრონული ტექნოლოგიების პილოტირების მეორე პროექტი კვლავ შუალედურ არჩევნებზე განხორციელდა, სადაც საარჩევნო ადმინისტრაციის

²⁵ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) – “ზუგდიდში თვითმმართველობის მაჟორიტარული შუალედური არჩევნების შეფასება“. 2018- <https://isfed.ge/geo/2017-advilobriv-tvitmmartveloba/zugdidshi-tvitmmartvelobis-mazhoritaruli-shualeduri-archevnebis-shefaseba>

მხრიდან პასუხი გაეცა წინა არჩევნებზე გამოვლენილ პრობლემებს და ტექნოლოგიური ეფექტიანობის გაზრდისკენ მიმართული ცვლილებები განხორციელდა. სამართლიანი არჩევნების წარმომადგენელი ინტერვიუში საუბრისას შეეხო განხორციელებულ ცვლილებებს- კერძოდ, ის აღნიშავს, რომ შეიცვალა ბიულეტენების დიზაინი, რათა მხედველობის პრობლემის მქონე ამომრჩევლებს გაადვილებოდათ ხმის მიცემა, აგრეთვე ტექნოლოგიურად დამატებით აღჭურვა მოხდა უბნების სათადარიგო ხმის მთვლელი აპარატებით (რესპონდენტი #2). მეორე საპილოტე პროექტში შერჩეულ იქნა ტყიბულის 4 და წყალტუბოს 4 საარჩევნო უბანი, სადაც მაინც გამოვლინდა ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებული გამოწვევები.

საპილოტე რეჟიმში ჩატარებული ელექტრონული არჩევნები რეალურად იძლევა საშუალებას სწორად შეფასდეს გამოვლენილი რისკები და პროცესი მოწესრიგდეს ისე, რომ რაც შეიძლება მინიმუმამდე დავიყვანოთ ისინი. როგორც ცესკოს წარმომადგენელთან ინტერვიუში ვიგებთ, განვლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი მიმდინარეობს თანმიმდევრულად და ამ პერიოდის განმავლობაში, გაფართოვდა როგორც ტექნოლოგიის გამოყენების მასშტაბი, ასევე თვით ტექნოლოგიების სახეობები. თუკი თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ ე.წ. ხმის მთვლელი აპარატები, 2022 წლის შუალედური არჩევნების დროს, საარჩევნო ადმინისტრაციამ პირველად, 14 საარჩევნო უბანზე გამოიყენა ე.წ. ამომრჩევლის ვერიფიკაციის აპარატი. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, კენჭისყრის დღემ მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე ჩაიარა. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილება არის პოზიტიური (რესპონდენტი #1). სამართლიანი არჩევნების (ISFED) წარმომადგენელ ექსპერტთან საუბრისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია არჩევნებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას, კერძოდ:

- კონკრეტულად რომელი ტექნოლოგიის რა ფორმით დანერგვა მოხდება არჩევნებში
- რამდენად ფართოა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი ინოვაციის დანერგვასთან დაკავშირებით

- კონკრეტული ტექნოლოგიის უპირატესობის დასაბუთება ქართულ რეალობაში დასანერგად
- რისკების დაზღვევა- მონაცემთა უსაფრთხოება და ტექნიკური გამართულობა
- ამომრჩეველთა ინფორმირებულება ტექნოლოგიის გამოყენების მხრივ
- საარჩევნო ადმინისტრაციის მზაობა შეუფერხებელი მუშაობისთვის
- როგორია არჩევნების ფუნდამენტური პრინციპების დაცულობა (თავისუფალი, ფარული, თანასწორი, სამართლიანი არჩევნები)

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო ადმინისტრაციამ 2020 წლის ანგარიშში, რომელიც 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმას წარმოადგენდა, ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად საარჩევნო სერვისების ტექნოლოგიების დახმარებით მოდერნიზება დაისახა მიზნად. აღნიშნული აერთიანებდა ტექნოლოგიების არჩევნებში გამოყენების შესახებ ამომრჩევლისა და ჩართული მხარეების ინფორმირების გაზრდასა და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას, აღსრულების ხელშეწყობას ადმინისტრაციული საქმის წარმოების გაძლიერებით. აგრეთვე ანგარიშში მთავარ მიღწევად სახელდება საჩივრების ელექტრონული ვებ გვერდის²⁶ ამუშავება, რომელმაც ცესკოს კვლევებით გაზარდა გამჭვირვალობა და ამომრჩევლის ნდობა (ცესკო, 2021).

2021 წელს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ საქართველოსთვის შემუშავებულ იქნა დოკუმენტი²⁷, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა „ამბიციურ საარჩევნო რეფორმას“ (Michel, 2021). დოკუმენტი წარმოადგენდა ერთგვარ გეგმას, რომელზე ხელის მოწერითაც სახელისუფლებო და ოპოზიციურმა ძალებმა მიაღწიეს პოლიტიკურ კონსენსუსს რიგი საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის საარჩევნო პროცესების წარმართვის კუთხით. დოკუმენტის მიღების შემდგომ მოხდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ გადახედვა და მასში კანონპროექტის ინიცირებას არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. 2021 წლის 30 აპრილს კი ეუთო/ოდირისა და ვენეციის

²⁶ ცესკოს საჩივრების ვებ-გვერდი - <https://sachivrebi.cec.gov.ge/#/>

²⁷ President of the European Council Charles Michel: Proposal for Georgia “A Way ahead of Georgia”- 18.04.2021- https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication_0.pdf

კომისიის დასკვნით საქართველოში უნდა მომხდარიყო მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვისთვის. რეკომენდაციები ეხება საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე ე.წ. „კარგი პრაქტიკის კოდექსის“ გათვალისწინებას, რომელიც ელექტრონული ხმის მიცემის მოდელს დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეთოდის სანდოობა და უსაფრთხოება გარანტირებულია. აგრეთვე დასკვნაში საუბარია ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის სათანადო მომზადების აუცილებლობაზე (ODIHR, 2021).

რეკომენდაციების გათვალისწინებით საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში გაკეთდა ზოგადი ჩანაწერი, რომ ამომრჩევლების ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის პროცესში უნდა დანერგილიყო ელექტრონული ტექნოლოგიები პირველ ეტაპზე, მუნიციპალურ არჩევნებზე და ამ პროცესისთვის საჭირო პროცედურები უნდა მოეწესრიგებინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. რეალურად, როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა საკითხები შეიძლება მოწესრიგდეს საარჩევნო კოდექსით და რა - სხვა სამართლებრივი აქტებით, რომელსაც ცესკო გამოსცემს, ჩვენ გვაქვს საკითხები/პროცედურები, რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობით (კოდექსით) განისაზღვრება, თუმცა ასევე კანონი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აძლევს დისკრეციას რომ ცალკეული საკითხები დამატებით მოაწესრიგოს ნორმატიული აქტებით. მაგრამ, ისეთი საკითხები, რომელიც ეხება არსებით საარჩევნო უფლების შეზღუდვას და რომლებიც ემსახურება საარჩევნო უბნების რეალიზაციას, მნიშვნელოვანია რომ დეტალურად იქნას განმარტებული საარჩევნო კოდექსში (რესპონდენტი #2).

აგრეთვე აღსანიშნავია, საქართველოში წინასწარ განსაზღვრული საინფორმაციო კამპანიები არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებამდე, მოიცავდა მაქსიმუმ 6 თვეს, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით საჭირო დროის ნახევარია. შესაბამისად მომდევნო- 2021 წლის მუნიციპალურ და 2022 წლის 2 აპრილის შუალედურ არჩევნებში საერთაშორისო და ადგილობრივი სადამმკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებით გამოვლენილ პრობლემებს შორის კვლავ იდგა

საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობის საკითხი.²⁸ „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის გათვალისწინებული ვადები უნდა იყოს სიფრთხილით შერჩეული, რათა საფრთხე არ შეექმნას საარჩევნო პროცესისადმი ამომრჩეველის ნდობას. გარდა ამისა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებაზე საუბრისას ხაზს უსვამს საარჩევნო კოდექსის მიერ იდენტიფიკაციის, ხმის მიცემისა და ხმების დათვლის ეტაპების დეტალური მოწესრიგების აუცილებლობას, ვინაიდან თავიდან იქნას აცილებული ინფორმაციული ვაკუუმით გამოწვეული შედეგები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართულ რეალობაში საზოგადოების მხრიდან, კერძოდ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“-ს ინიციატივით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სხვა პარტიებთან ერთად მოხდა სიმულაციის წარმოდგენა (ცესკო, 2021), სადაც საკმაოდ დეტალურად იყო აღწერილი საარჩევნო პროცედურების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართვა. თუმცა, ინიციატივის ირგვლივ პოლიტიკური კონსენსუსი ვერ მოხერხდა, შედეგად ცესკომ გადაწყვიტა 2021 წელს კრწანისის ოლქში კვლავ პილოტირების რეჟიმში რეფორმის განხორციელება, რაც ერთგვარად 2018 წელს უკვე გამოყენებული ხმის მთვლელი აპარატების დანერგვის გაგრძელება იყო. კრწანისის ოლქის ერთ-ერთი ამომრჩეველი საუბრისას აღწერს ელექტრონულ საარჩევნო პროცესს და მიიჩნევს, რომ სისტემა წარმატებით მუშაობდა. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კრწანისის ოლქში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ახალგაზრდების მომატებული აქტივობა, რაც აქამდე, ტრადიციული ფორმით კენჭისყრისას არ შეუნიშნავს „*უბანზე ისეთი ადაიანები ვნახე ვინც საერთოდ არ მეგონა თუ არჩევნებზე ოდესმე მისულიყო*“ (რესპონდენტი #3). აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სიახლის მიმართ ინტერესმა თუ ტექნოლოგიებისადმი ნდობამ, ახალგაზრდებში ელექტრონული არჩევნების ფორმატმა მონაწილეობის სურვილი ნამდვილად აღძრა.

²⁸ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით. 2021 – 01.11.2021 <https://isfed.ge/geo/2021-adgilobrivi-tvitmmartvelobis/211101013221arasamtavrobo-organizatsiebis-ertoblivi-gantskhadeba-munitsipalur-archevnebtan-dakavshirebit->

საქართველოში რთულია ცალსახად ვთქვათ გამოიწვევს თუ არა არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა ამომრჩევლის აქტივობის ზრდას, ვინაიდან ერთ მხარეს დგას სიახლეებისადმი მაღალი ინტერესით განმსჭვალული ახალგაზრდა თაობა, ხოლო მეორე მხარეს ხანდაზმული ამომრჩეველი, რომელსაც ინოვაციებთან ადაპტირების შედარებით სუსტი უნარი აქვს.

ქართულ რეალობაში TAM მოდელის მიხედვით, რომელსაც საზოგადოების ტექნოლოგიებისადმი განწყობა/დამოკიდებულებისა საკვლევად იყენებენ, ტექნოლოგიების მიმღებლობა უფროსი ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფს დაბალი აქვთ. ამაზე გავლენას ახდენს ამომრჩევლის მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც დამატებით პრობლემას სხვა ჯგუფისთვისაც - შშმ პირთათვისაც წარმოადგენს. TAM მოდელის მიხედვით საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება მოხდა, მოქალაქეთა ინოვაციის მიმღებლობის შეფასება სრულყოფილად რეფორმის მასშტაბურობიდან გამომდინარე შეუძლებელია, თუმცა 2022 წლის 2 აპრილს, ბათუმის 14 ოლქში ჩატარებული არჩევნების შესახებ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო-ს“ დამკვირვებელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამომრჩეველთა გაზრდილი აქტივობა მკვეთრად შესამჩნევია (რესპონდენტი #4). აღნიშნული დასტურდება „სამართლიანი არჩევნების“ ანგარიშითაც, რომელიც უშუალო მონიტორინგს ახორციელებდა ამომრჩეველთა აქტივობაზე გარკვეული პერიოდულობით (ISFED, საქართველოს პარლამენტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის შუალედური არჩევნების შეფასება, 2022). ამომრჩევლის მიერ აღნიშნული თოერის თანახმად მნიშვნელოვანია ინოვაციის სიმარტივისა და სარგებლიანობის აღქმა, რაც 2021 დასტურდება „სამართლიანი არჩევნების“ ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით კვლევაში, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება არჩევნებში დადებითად შეაფასა რესპონდენტთა (65,2%-მა), ხოლო უმთავრეს გამოწვევად რესპონდენტთა (82,6%) მა აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება დაასახელეს (ი. მამულაშვილი, მ.ჭუბაბრია, 2021). კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ TAM მოდელის მიხედვით ტექნოლოგიების ეფექტიანობისა და სიმარტივის განსაზღვრა უკვე არსებული ქართული გამოცდილებით მეტნაკლებად შესაძლებელია, ვინაიდან ამომრჩეველთა აზრით, კონკრეტულ საარჩევნო

უბნებზე გამოყენებული ტექნოლოგიები გამართულად მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ გამოვლინდა ხარვეზები, თუმცა საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებით პროექტის პილოტირება წარმატებულად ითვლება და საჭიროებს სამომავლოდ დახვეწას. ცესკოს წარმომადგენელი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ 2021 წლის პილოტის დროს, ცესკოს მიერ ჩატარდა შიდა კვლევა, რომელმაც ამომრჩევლის მზაობის და მიმდებლობის კუთხით, პოზიტიური შედეგი დააფიქსირა.

UTAUT სისტემა, რომელიც TAM სისტემისგან განსხვავებით მეტად ორიენტირებულია ქვევის პროგნოზირებაზე, აქცენტს აკეთებს 4 მთავარ ფაქტორზე მოსახლეობის მიერ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მნიშვნელოვანია სისტემის მიმართ მომხმარებლის მოლოდინი, მის სარგებლიანობასთან დაკავშირებული პოტენციალი; ტექნოლოგიის გამოყენების სირთულე; მომხმარებელზე მოქმედი სოციალური გავლენა, რომელიც გულისხმობს უმრავლესობის მოსაზრებას ტექნოლოგიის გამოყენების აუცილებლობაზე და ბოლო ფაქტორი ეს არის უშუალოდ ფასილიტაციის პროცესი, სადაც მომხმარებელი საჭიროებს რწმენას, რომ სისტემის ათვისებაში მას ექნება ადმინისტრაციული მხარდაჭერა (Venkatesh, V., Morris, M.G. , 2003). UTAUT სისტემა ცვლადის სახით იყენებს ასაკის, გენდერისა და გამოცდილების სიდიდეებს, რაც კვლევისთვის რელევანტურია, ვინაიდან მოქალაქეთა მზაობის შესაფასებლად აღნიშნული ინდიკატორების გამოყენება, საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართ მოსახლეობის მზაობა/მიმდებლობა.

კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე შესაძლებელია ამ მიდგომით განვიხილოთ ერთის მხრივ ტექნოლოგიების გამოყენების სირთულე, რაც საქართველოს არსებული გამოცდილებით არ წარმოადგენს დიდ გამოწვევას, თუმცა ვინაიდან ტრადიციული ფორმიდან მოდერნიზებულ მეთოდზე გადასვლისას შესაძლოა ხანდაზმულ ამომრჩეველში გაჩნდეს გულისწყვეტა, შერეული მეთოდის დანერგვა ამ პრობლემას აღმოფხვრის. ამომრჩევლის მიერ საარჩევნო პროცესში დანერგილი ტექნოლოგიის გამოყენების სიმარტივეზე გავლენას ახდენს მისი გამოცდილება, ერთის მხრივ ჰქონდა თუ არა მას სათანადო ინსტრუქციები, მეორე მხრივ კი რამდენად ჰქონდა შესაძლებლობა

პრაქტიკაში ამის განხორციელების საშუალება. ამომრჩევლებს, რომლებსაც 2018 წლიდან დღემდე, მონაწილეობა მიუღიათ ელექტრონულ არჩევნებში აქვთ მეტი პოტენციალი, რომ მიიღონ ინოვაცია და გამოიყენონ ის მარტივად.

რაც შეეხება, UTAUT მოდელის ფარგლებში სისტემის მიმართ მომხმარებლის მოლოდინებს, საქართველოში ჯერ კიდევ 2016 წელს ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ელექტრონული არჩევნების დანერგვის მიმართ საზოგადოების დადებითადაა განწყობილი, ვინაიდან გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) მიესალმება რეფორმას.²⁹

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვისას გათვალისწინებულ იქნას უკვე არსებული გამოცდილება და შემუშავდეს იმგვარი რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებს პროცესს არჩევნების ფუნდამენტური პრინციპების დაცვით. საარჩევნო პროცესის ავტომატიზებისთვის არსებობს ქართულ რეალობაზე მორგებული პროგრამული სისტემა, რომლის ავტორიც გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და კომპიუტერული სისტემების მკვლევარი გიორგი ბასილაძე. ავტორი ნაშრომში მიმოიხილავს არჩევნების ელექტრონული ფორმატით ჩატარებისთვის აუცილებელ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, მათ შორის, იდენტიფიკაციის, ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესებს. მულტიმედიური ტექნიკის გამოყენებით ავტორს მიაჩნია, რომ არჩევნების გაყალბების ტექნიკური გადაწყვეტა საუკეთესო გამოსავალია. ინოვაციური WPF³⁰ და Metro style App, არის ისეთი ტიპის უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც სრულად შეუძლია აღმოფხვრას არჩევნების გაყალბების ისეთი მეთოდები როგორცაა: ამომრჩეველთა სიების გაყალბება; „კარუსელები“; განმეორებით ხმის მიცემა. ბასილაძე დეტალურად ხსნის თუ როგორ შეიძლება არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა ისე, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები. იდენტიფიკაციის ნაწილში იგი განიხილავს დამატებითი ვალიდაციებს- ხმის, ფოტოსურათის და თითის ანაბეჭდის სახით, ასევე იმისათვის რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომები, პროგრამა საარჩევნო ადამინისტრაციის წარმომადგენელს გაუმარტივებს ამომრჩევლის

²⁹ NDI- ელექტრონულად ხმის მიცემის მხარდაჭერა საარჩევნო უბნებზე- <https://caucasusbarometer.org/ge/nj2016ge/ELECFORM/>

³⁰ Windows Presentation Foundation

რეგისტრაციის პროცესს და შესთავაზებს 11 ნომიან ველს, სადაც პირადი ნომრის არასწორად შეყვანის შემთხვევაში რეგარება სწრაფადვე მოხდება პროგრამის მიერ. აღსანიშნავია, რომ სისტემა ხმების დათვლის მეთოდში იყენებს სკანერებს, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრთან და მონაცემების სწრაფ გადამუშავებას ახდენს მომენტალურად. როგორც მკვლევარი აღწერს, სისტემა დატესტილია და წარმოადგენს პრაქტიკულ ღირებულებას ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციისთვის.³¹ ჩემი ნაშრომის ფარგლებში, დეტალურად იქნა შესწავლილი ბასილამის კვლევა და ის ნამდვილად შეიძლება გამოყენებულ იქნას საარჩევნო პროცესის ავტომატიზებისთვის, ვინაიდან ელექტრონული დემოკრატიის თეორიის თანახმად, სისტემა რომელიც წარმოადგენს მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლების დაკავშირების საშუალებას, გამოყენებული შეიძლება იყოს დემოკრატიულ პროცესებში.

3.3. ელექტრონული არჩევნების პერსპექტივები საქართველოში

საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას მნიშვნელოვანია წინ უძღვოდეს მოსამზადებელი გეგმა, რომელიც დასახავს ინოვაციის დანერგვისთვის საჭირო ეტაპობრივ ამოცანებს. ამასთან მნიშვნელოვანია დეტალური საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს ყველა პროცედურას და უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების დაცვით არჩევნების ჩატარებას. „სამართლიანი არჩევნების“ ექსპერტი მკვლევარი საქართველოში ელექტრონული არჩევნების პერსპექტივებს იმედიანად უყურებს და აღნიშნავს, რომ „2024 წლისთვის თუ სახელწმიფომ შეძლო მომზადება და ოლქების ნახევარში მაინც დანერგა ელექტრონული ტექნოლოგიების ხმის მთვლელი მანქანების გამოყენება, ეს ციფრული მმართველობის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“ (რესპონდენტი #2). ცესკოს წარმომადგენლის შეფასებით, საქართველოს ორგანული კანონის „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დღეს მოქმედი რედაქცია ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების დანიშვნის დღემდე რიგგარეშე/შუალედური არჩევნების გამართვის

³¹ ბალისაძე, 2013- „მულტიმედიური ელექტრონული საარჩევნო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება“

შემთხვევაში, ხოლო 2024 წლის არჩევნებისთვის და შემდგომი პერიოდისთვის ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით, დამატებით უნდა იმსჯელოს საქართველოს პარლამენტმა. შესაბამისად, მთავარი გამოწვევა და ცვლილების საჭიროება სწორედ ამ კუთხით არსებობს (რესპონდენტი #1).

საქართველოს უკვე აქვს მცირე გამოცდილება არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით. გარდა ამისა, ქვეყანაში თანდათანობით უმჯობესდება ელექტრონული მმართველობის ინდექსი და მოსახლეობის ელ-ჩართულობის ხარისხი, რაც წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის განვითარების ქვაკუთხედს (Macintosh, 2004). 2020 წლის გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევა ადასტურებს ზემოთ აღნიშნულს, საქართველოს მონაცემები კი ასე გამოიყურება: rank-65 (High EGDI)³²- 5 ადგილით გაუმჯობესდა; rank-80 – (High EPI)³³ - წინა წლებთან შედარებით 7 ადგილით გაუმჯობესდა. ამ მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, პარტისიპატორული(მონაწილეობითი) დემოკრატიის კონცეფციის ჭრილში, მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ინსტრუმენტებს შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოების ჩართულობა უფრო დიდ ისეთ დემოკრატიულ პროცესებში, როგორც არჩევნებია.

იმისათვის, რომ საქართველოს საარჩევნო სისტემაში ელექტრონული ტექნოლოგიების მასშტაბური დანერგვა მოხდეს, გასათვალისწინებელია ციფრული უთანასწორობის პრობლემა, რომელიც გულისხმობს ინფრასტრუქტურული, გეოგრაფიული, ასაკობრივი და ფინანსური ფაქტორით განპირობებულ სოციალური თანასწორობის პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიების ფლობის ცოდნა და უნარი შეიძლება განსხვავდებოდეს, საქართველოს გამოცდილებამ აჩვენა, რომ სიახლის ეტაპობრივ შეთავაზებას შეუძლია დაძლიოს ციფრული უთანასწორობის პრობლემაც, ვინაიდან როდესაც საქმე გვაქვს ტექნოლოგიების გამოყენებასთან, მას სჭირდება ათვისება და გამოყენების გარკვეული გამოცდილება.

³² UN E-GOVERNMENT SURVEY, 2020- E-Government Development Index. – pp.306 [file:///Users/ninc/Downloads/2020%20UN%20E-Government%20Survey%20\(Full%20Report\).pdf](file:///Users/ninc/Downloads/2020%20UN%20E-Government%20Survey%20(Full%20Report).pdf)

³³ UN E-GOVERNMENT SURVEY, 2020- E-Participation Index- pp. 312 - [file:///Users/ninc/Downloads/2020%20UN%20E-Government%20Survey%20\(Full%20Report\).pdf](file:///Users/ninc/Downloads/2020%20UN%20E-Government%20Survey%20(Full%20Report).pdf)

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ცვლილებების დანერგვისას გაითვალისწინოს არსებული სოციალურ-პოლიტიკური გარემო და სიფრთხილით შეარჩიოს ყველა ის ტექნოლოგია, რომელსაც მომდევნო არჩევნებში გამოიყენებს. ცესკოს წარმომადგენლის ცნობით, „ამ კუთხით არც საკანონმდებლო ცვლილებები ამჟამად არ არის განხილვაში და არც რაიმე სპეციალური ტექნიკური მომზადებაა დაწყებული 2024 წელს უფრო დიდი მასშტაბით რეფორმის განსახორციელებლად“ (რესპონდენტი #1).

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას ჯერ-ჯერობით საქართველოში არცერთი პოლიტიკური პარტია ან საზოგადოებრივი ჯგუფი არ ეწინააღმდეგება და პოლიტიკური სისტემა არ წარმოადგენს მოდერნიზაციისთვის დაბრკოლებას, თუმცა ისეთი არსებითი ცვლილების შემოტანას, როგორც არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი დანერგვა, აუცილებლად სჭირდება ფართო კონსენსუსი და დეტალური განხილვა პოლიტიკური პარტიებისა და იმ ჩართული მხარეების, რომლებიც საარჩევნო პროცესის მონიტორინგს ახორციელებენ. შესაბამისად, ეს გამოიწვევს ნდობის ფაქტორის გაზრდას როგორც საარჩევნო პროცესების, ისე არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების რეფორმასთან დაკავშირებით.

საქართველოსთვის დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო გზა, მოქალაქეთა ჩართულობის ზრდაა, რაც თანამედროვე მსოფლიოში დღეს უკვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დახმარებით გახდა შესაძლებელი. ელექტრონულ არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ამის ნათელი გამოვლინებაა, რისთვისაც საქართველომ ვფიქრობ, არ უნდა შეწყვიტოს მუშაობა და რაც შეიძლება მალე უნდა დანერგოს ის ქვეყანაში. თუმცა, აუცილებელია მოხდეს საზოგადოების განწყობა/დამოკიდებულების გათვალისწინება და ფართო თანხმობის მიღწევა, რათა დაინერგოს საერთაშორისო სტანდარტების, არჩევნების ფუნდამენტური პრინციპების დაცვით თავისუფალი, სამართლიანი -დემოკრატიული არჩევნები.

დასკვნა

ელექტრონული არჩევნების დანერგვა საქართველოში ხასიათდება მთელი რიგი პოლიტიკური და სამართლებრივი პერიპეტეებით. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ

რეალობაში ტექნოლოგიური ძვრები დღითიდღე მატულობს და ამ უკანსკნელმა მმართველობის სფეროშიც შეაღწია, აღნიშნულ საარჩევნო მოდელს თან სდევს გარკვეული გამოწვევებიც.

კვლევაში წარმოდგენილი წარმატებული მაგალითების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო პროცესის ავტომატიზებას შეუძლია უფრო მეტად სწრაფად, მარტივად და მოსახერხებლად წარმართოს პროცესი, რაც ხელს შეუწყობს არჩევნების გამჭვირვალობის ზრდას და ამომრჩეველთა ნდობის გაძლიერებას საარჩევნო პროცესებისადმი. თუმცა, მეორე მხრივ, საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას შესაძლოა მოჰყვეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული საფრთხეები, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ინოვაციის ეფექტურობას.

უკვე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველო ეტაპობრივად მიიწევს წინ ინოვაციის დანერგვის კუთხით და აქტიურად არის ჩართული ელექტრონული დემოკრატიის გაძლიერების პროცესში. ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ციფრული მმართველობის გაუმჯობესება და სწორედ აქედან გამომდინარე, ელექტრონული არჩევნების დანერგვა ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. საარჩევნო პროცესებში ელექტრონული მოწყობილობების გამოსაყენებლად საჭიროა მომზადება, რაც ითვალისწინებს საკითხის სიღრმისეულ შესწავლას.

მოცემული კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა საქართველოში ელექტრონული არჩევნების შესახებ ემპირიული ცოდნის შექმნა, ვინაიდან დარგი საკმაოდ ახალია და არ არსებობს ეროვნულ დონეზე შესაბამისი მეცნიერული ანალიზი. კვლევისას განისაზღვრულ იქნა ელექტრონული არჩევნების დანერგვისთვის აუცილებელი ძირითადი ფაქტორები და შეფასდა ქართულ რეალობაში საარჩევნო პროცესებში ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების უკვე არსებული გამოცდილება.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული 4 სიღრმისეული ინტერვიუსა და დოკუმენტთა ანალიზით, გამოვლინდა ძირითადი საკითხები, რომელთა გაგება სხვადასხვა ინტერპრეტაციით შეგვიძლია. შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს ეტაპობრივი პოლიტიკის გატარებას, რასაც საქართველო 2018 წლიდან ახორციელებს, უფრო მეტად აქტიურად მიმდინარეობს

საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების გათვალისწინებით, ვიდრე ტექნიკური მომზადება და პრაქტიკის დაგროვება, რაც საჭიროებს ტექნოლოგიურ აღჭურვას და ადმინისტრაციის მომზადებას, შესაბამისად ქვეყნისთვის არჩევნების ავტომატიზება სრული მასშტაბით ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, აქედან გამომდინარე კი, ჰიბრიდული მოდელის დანერგვა არის საუკეთესო გამოსავალი. ამის საფუძველზე აიხსნება პირველი ჰიპოთეზის ნაწილობრივ დადასტურება, რომლის მიხედვითაც-საქართველოში ელექტრონული არჩევნების დანერგვისთვის საჭირო სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტები არ წარმოადგენს გამოწვევას. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ საქართველოსთვის გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭიროა გამოცდილება, რასაც სახელმწიფო პოლიტიკის ეტაპობრივი დანერგვით, ნელ-ნელა აგროვებს.

რაც შეეხება, მეორე ჰიპოთეზას, რომელიც ავითარებს აზრს, რომ ელექტრონული არჩევნების მოდელი ხელს უწყობს მოქალაქეთა მზაობას არჩევნებში მონაწილეობისთვის, უნდა ითქვას, რომ 2018 წლიდან დღემდე (2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნები), საქართველოს გამოცდილებამ არჩევნებში ელექტრონული მოდელის დანერგვისას აჩვენა, მოქალაქეთა მზაობა ჩართულობისადმი და ამავდროულად კვლევებით დადასტურდა ამომრჩევლის მოლოდინები, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ტრადიციული მეთოდთან განშორება ამომრჩეველთა მაღალი ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთათვის შეიძლება წარმოადგენდეს გულისწყვეტას, ხოლო რიგი ტექნიკური გამოწვევის გამო ახალ მოდელს უნდობლობას უცხადებდნენ, სწორედ ჰიბრიდული მოდელის შეთავაზება არის სახელმწიფოს გამოსავალი, ვინაიდან ერთის მხრივ ტექნოლოგიების გამოყენება გააუმჯობესებს და მეტად მოსახერხებელს გახდის პროცესს, მეორე მხრივ, კი, ტრადიციული მეთოდით ხმის გადათვლის პროცესის წარმოება გამოირიცხავს მოქალაქეთა ტექნოლოგიებისადმი უნდობლობის პრობლემას. შესაბამისად, კვლევის შედეგად მეორე ჰიპოთეზაც ნაწილობრივ დადასტურდა.

საბოლოო ჯამში, ელექტრონული არჩევნების დანერგვა საქართველოსთვის რეალისტური სიახლეა, რომელსაც ქვეყანამ ფრთხილი პოლიტიკით და აქტიური მუშაობით უნდა შეუწყოს ხელი და ამისთვის საწყის ეტაპზე გამოიყენოს შერეული

მოდელი, რომლის პრაქტიკაში გამოყენება უკვე მოგვცემს ფართო სურათს დაინერგოს თუ არა სრულად ის ქართულ საარჩევნო სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბასილაძე, გ. (2013). *მულტიმედიალური მონაცემთა საცავის დაპროექტება და რეალიზაცია კლიენტ-სერვერ არქიტექტურით*. თბილისი: სადისერტაციო ნაშრომი.
- ბასილაძე. (2013). *მულტიმედიალური მონაცემთა საცავის დაპროექტება და რეალიზაცია კლიენტ-სერვერ არქიტექტურით*. PhD. თბილისი.
- გ.ბასილაძე. (2013). *მულტიმედიალური მონაცემთა საცავის დაპროექტება და რეალიზაცია კლიენტ-სერვერ არქიტექტურით*. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
- ი. მამულაშვილი, მ.ჭუბაბრია. (2021). *ელექტრონული ტექნოლოგიები არჩევნებში*. თბილისი: ISFED.
- ლაბაძე, მ. (2018). *ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო*. თბილისი: ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, თსუ.
- მაცაბერიძე, მ. (2003). *არჩევნები და საზოგადოება*. თბილისი: "მეცნიერება".
- პარლამენტი, ს. (2022, 05 25). *საქართველოს საარჩევნო კოდექსი- ორგანული კანონი*. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=74>
- ცესკო. (2021). *არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების შესწავლა - ცესკოს შენობაში პარტიების მიერ ინიცირებული იმიტირებული არჩევნები ტარდება*. Retrieved from electionreforms.ge: <https://electionreforms.ge/geo/list/show/3114-archevnebshi-eleqtronuli-teqnologiebis-gamokenebis-shesadzleblobebis-shestsavla-tseskos-shenobashi-partiebis-mier-initsirebuli-imitirebuli-archevnebi-tardeba>
- ცესკო. (2021). *საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის - 2020 წლის ანგარიში*. თბილისი: ცესკო.
- Civil.ge. (2020, 11 2). *ოპოზიციური პარტიები ახალი მოწვევის პარლამენტს ბოიკოტს უცხადებენ*. თბილისი, საქართველო.
- COE. (2004). *რეკომენდაცია Rec(2004)11 ელექტრონულად ხმის მიცემის სამართლებრივი, საოპერაციო და ტექნიკური სტანდარტების შესახებ*. Retrieved from <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=778189>
- CRRC. (2021). *კავკასიის ბარომეტრი 2021 -საქართველო*. Retrieved from caucasusbarometer.org: <https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/TRULOCC/>
- ISFED. (2018). *ზუგდიდში თვითმმართველობის მაჟორიტარული შუალედური არჩევნების შეფასება*. თბილისი: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.
- ISFED. (2022). *საქართველოს პარლამენტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის შუალედური არჩევნების შეფასება*. თბილისი: ISFED.
- NDI. (2016). *ელექტრონულად ხმის მიცემის მხარდაჭერა, როდესაც ხალხი საარჩევნო უბანზე მიდის და ქალაქის ბიულეტენის მაგივრად კომპიუტერის გამოყენებით აძლევს ხმას*. თბილისი.
- Watch, G. E. (2020). *ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ*. თბილისი: NDI.

- AlAwadhi, S., & Morris, A. (2008). The Use of the UTAUT Model in the Adoption of E- government Services in Kuwait. *The 41st annual Hawaii international conference on system sciences* (pp. 219-221). HICSS .
- Alexander H. Trechsel, and R. Michael Alvarez. (2016). The diffusion of internet voting. Usage patterns of internet voting in Estonia between 2005 and 2015. In A. H. Trechsel, *Government Information Quarterly* 33 (pp. 453-459).
- Archives, R. (2017). E-Voting To Be Used On A Trial Basis 2002. *RTE Archives*.
- Athanasios, A. (2007). A Trust-Centered Approach for Building E-Voting Systems. *Electronic Government, 6th International Conference*. Regensburg, Germany.
- Atkins, S. (2017). Elyctis ID BOX One brings efficiency and certainty in voter identification to the Kyrgyzstan presidential elections. *Silicon Trust*.
- Barber, B. (1999). Three Scenarios for the Future of Technology and Strong Democracy. *Political Science Quarterly*, 573-590.
- Barber, B. S. (2014). *Strong Democracy* . Berkeley : University of California Press .
- Borrell, J. (2021). *Georgia: EU report highlights the need for political compromise to continue the reform momentum*. Brussels: European Commission. Retrieved from file:///Users/ninc/Downloads/Georgia__EU_report_highlights_the_need_for_political_compromise_to_continue_the_reform_momentum.pdf
- Byrne, C. (2019). Irish people are split over whether we should have another go at e-voting. *TheJournal.ie*.
- Collins, S. (2009). Rise and fall of Irish e-voting: a brief but expensive history. *The Irish Times*.
- COM. (2021, 11 25). *REGULATION OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on the transparency and targeting of political advertising*. Retrieved from venice.coe.int: https://ec.europa.eu/info/sites/default/files/4_1_177594_pol-ads-ia_en_0.pdf
- Commissions, C. E. (2016, June 30). *Electoral Code of The Republic of Armenia*. Retrieved from elections.am. : https://www.legislationline.org/download/id/6201/file/Armenia_Electoral_Code_as%20of%2030June2016.pdf
- Court, T. F. (2009, March 3). *Use of voting computers in 2005 Bundestag election unconstitutional*. Retrieved from Bundesverfassungsgericht: <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2009/bvg09-019.html>
- Davis, F. (1989). *Perceived usefulness, perceived ease of use, and user acceptance of information technology*. *MIS quarterly*,.
- e-estonia. (n.d.). e-Democracy & open data. Tallin.
- ENEMO. (2018, December 10). *Parliamentary Elections- Armenia*. Retrieved from enemo.eu: <http://enemo.eu/uploads/file-manager/EOMtoArmenia/StatementofPreliminaryFindingsandConclusions10Dec.pdf>
- Eulau, H. , Gibbins, . Roger and Webb, . Paul David. (2020, November 2). election. *Encyclopedia Britannica*.
- Europe, C. o. (2010). *E-voting handbook - Key steps in the implementation of e-enabled elections*. Retrieved from <https://bit.ly/3cmntHC>
- Frank, R. & Martinez, I. (2017). *How election dynamics shape perceptions of electoral integrity*. *Electoral Studies*.
- Goldsmith Ben, R. (2013). *Implementing and Overseeing Electronic Voting and Counting Technologies*.

- Goldsmith Ben, R. H. (2013). *Implementing and Overseeing Electronic Voting and Counting Technologies*. Retrieved from https://www.ndi.org/sites/default/files/Implementing_and_Overseeing_Electronic_Voting_and_Counting_Technologies.pdf
- Goldsmith, B., & Ruthrauff, H. (n.d.). *Case Study Report on Electronic Voting in the Netherlands*. National Democratic Institute; IFES.
- Gritzalis, A. (2002). Principles and requirements for a secure e-voting system. In *Computers & Security* (pp. 539-556).
- Gronlund/Horan. (2004). *Introducing E-Gov: History, Definitions, and Issue Communications of the Association for Information Systems*.
- Haerpfer, C. (2009). Democratization. In C. Welzel, *Theories of Democratization* (pp. 74-88). Oxford University Press.
- IDEA. (2011). *Introducing Electronic Voting- Essential Considerations*. Stockholm, Sweden.
- James, T.S. & Jervier, T. . (2017). The cost of elections: The effects of public sector austerity on electoral integrity and voter engagement. *Public Money & Management*, 461-468.
- Krimmer, R. (2004). Electronic Voting in Europe. *The 1st ESF TED Workshop on E-Voting*. (p. 47). LNI.
- Kshetri, N. & Voas, J. . (2018). Blockchain-Enabled E-Voting. *IEEE Software*, vol. 35, 95-99.
- Macintosh, A. (2004). Characterizing e-participation in policy-making. In *37th Annual Hawaii International Conference on System Sciences*, (p. pp.10). Proceedings of the IEEE.
- Masiero, S. &. (2019). Trusting e-voting amid experiences of electoral malpractice: The case of Indian elections . *Journal of Information Technology*.
- McGaley, M. (2003). *Electronic Voting: A Safety Critical System"*. National University of Ireland.
- Mebane, W. R. (2008). Can We Trust the Machines? In R. M. Hall, *Review of Electronic Elections: The Perils and Promises of Digital Democracy* (pp. 677-678).
- Michel, C. (2021, April 18). 'A way ahead for Georgia'. *Proposal by President of the European Council Charles Michel to the representatives of Georgian polit*. Retrieved from [eeas.europa.eu/](https://www.eeas.europa.eu/): https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication_0.pdf
- Morry, M. (2021). *JOINT URGENT OPINION ON DRAFT AMENDMENTS TO THE ELECTION CODE*. OSCE/ODIHR.
- Movement.International, E. (2016, December). *Citizens' participation in the digital age: e-democracy*.
- Moynihan, D. P. (2004). *Building Secure Elections: E-Voting, Security, and System Theory*. Texas A&M University.
- ODIHR. (2021, April 30). *JOINT URGENT OPINION ON DRAFT AMENDMENTS TO THE ELECTION CODE Issued pursuant to Article 14a of the Venice Commission's Rules of Procedure*. Retrieved from [osce.org](https://www.osce.org/files/f/documents/7/f/485072.pdf): <https://www.osce.org/files/f/documents/7/f/485072.pdf>
- Oostveen, A.-M. (2013). *Security as Belief: User's Perceptions on the Security of Electronic Voting Systems"*. Netherlands.
- OSCE, O. f. (2021, March 5). *Georgia Parliamentary Elections. 31 October 2020*. Retrieved from <https://www.osce.org/files/f/documents/1/4/480500.pdf>
- OSCE. (2012, March 5-12). *Assesment of the State Automated Information System "Elections" (Saise)*. Retrieved from [osce.org](https://www.osce.org/files/f/documents/4/7/92207.pdf): <https://www.osce.org/files/f/documents/4/7/92207.pdf>
- OSCE. (2015, March 1). *Estonia Parliamentary Elections*. Retrieved from [osce.org](https://www.osce.org/files/f/documents/a/4/160131.pdf): <https://www.osce.org/files/f/documents/a/4/160131.pdf>

- OSCE. (2020, November 1- 15). Retrieved from
<https://www.osce.org/files/f/documents/1/5/479972.pdf>
- OSCE/ODIHR. (2013). *Handbook for the Observation of New Voting Technologies*. OSCE/ODIHR.
- OSCE/ODIHR. (2017, April 2). Retrieved from
<https://www.osce.org/files/f/documents/f/9/309156.pdf>
- Past L., Brown K. (2019). Attacks against elections are inevitable – Estonia shows what can be done. *THE CONVERSATION*.
- Paul, R. (2008). Netherlands says “nee” to electronic voting. *ArsTechnica*.
- Raaflaub, K. A., Ober, J., & Wallace, R. (2007). *Origins of democracy in ancient Greece*. California: University of California Press.
- Ruoti, S. & Kaiser, B. . (2019). Blockchain technology: what is it good for? *Communications of the ACM*, 46-53.
- Smartmatic. (n.d.). Albania strengthens confidence in the election process through technology. *Smartmatic*.
- Stein, M. & Trent, J. (2012). Electronic voting. In T. Hall, *Electronic Democracy* (pp. 153-176).
- Susha, I., Grönlund, Å. (2012). *eParticipation research: Systematizing the field*. . Government Information Quarterly 29.
- Trechsel, P. D. (2016, May). *Potential and challenges of E-voting in the European Union*. Retrieved from europarl.europa.eu:
https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/556948/IPOL_STU%282016%29556948_EN.pdf
- Triessnig, S. , Volkamer, V. (2007). The Development of Remote E-voting around the world: A review of Roads and Directions. *Springer LNCS*.
- USAID. (2013). *Mid-term Review of the International Electoral Assistance Provided Through 2008-2012 to the Central Electoral Commission of Moldova*. UNDP.
- Venkatesh, V., Morris, M.G. . (2003). *User acceptance of information technology: Toward a unified view*. *MIS quarterly*.
- Wallach, D. (2015). *The Risks of Electronic Voting*. Rice University.
- Wertheimer, M. (2004). *Diebold AccuVote TS Voting System*. Trusted-Agent Report.
- West, D. M. (2004). *E-Government and the Transformation of Service Delivery and Citizen Attitudes*. *Public Administration Review*.
- Wolf, P. (2010, 1 22). Retrieved from The Electoral Knowledge Network:
<https://aceproject.org/ace-en/focus/e-voting/default>
- Zissis, D. (2007). *A Systems Theory Approach to Electronic Voting Complexity*. Syros, Greece: University of the Aegean.